



პანონის უზენაესობის  
სენიორი

# საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულება

არსებული ვითარება,  
გაუმჯობესების გზები



თბილისი  
2023



**USAID**  
 ამერიკელი სალხისგან

E A S T • W E S T  
 M A N A G E M E N T  
 I N S T I T U T E



კანონის უზენაესობის  
 ცენტრი

**USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა**  
**USAID RULE OF LAW PROGRAM**

ანგარიში მომზადდა კანონის უზენაესობის ცენტრის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWWI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.


დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კანონის უზენაესობის ცენტრი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

**ანგარიშის ავტორები:**

- ლონდა თოლორაია
- გიორგი გამეზარდაშვილი
- გოგა ხატიაშვილი

# საქართველოს პროკურატურის ენგეროვნულდებულებუ

ერსებული ვითარებუ,  
ბუბუბუბუბუბუბუბუბუ



# სარჩევი

<b>I. შესავალი</b>	5
<b>II. კვლევის ძირითადი მიზნაგები</b>	7
<b>III. კვლევის მეთოდოლოგია</b>	13
<b>IV. საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე</b>	16
1. პარლამენტის წინაშე პროკურატურის ანგარიშვალდებულების საქონემდებლო რეგულირება	18
2. პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების შინაარსი	19
2.1. ანგარიშის სტრუქტურა და პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	20
2.2. სტატისტიკური მაჩვენებლები	22
2.3. სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები	27
2.4. ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასება	29
2.5. სამართალწარმოების პროცესში აღძვრის უზრუნველყოფისა და თავისუფლების დაცვა	31
2.6. პროკურატურის პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამები	32
3. სხვა ქვეყნების პრაქტიკა	32
4. პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები ანგარიშების პარლამენტში განხილვა	36
5. პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილობითი კითხვები	39
6. სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე პარლამენტის მიერ პროკურატურის მიმართ გასემული დავალებები	43
7. კვლევის უარგებლები ჩატარებული ინტერვიუების შედეგები	47
<b>V. საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულება საპროკურორო საბჭოს წინაშე</b>	49
1. საპროკურორო საბჭოს საქმიანობის საქონემდებლო რეგულირება	50
2. საპროკურორო საბჭოს დაქმნა და მისი მისიონერი	51
3. საპროკურორო საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა	57
4. პროკურატურის მიერ საპროკურორო საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიშების შინაარსი	58
5. საპროკურორო საბჭოს სტრუქტურა და მისი მისიონერი, საპროკურორო საბჭოს მიერ გასემული რეკომენდაციები	58
6. საპროკურორო საბჭოს სტრუქტურა პროკურატურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შედეგები ანგარიშის განხილვა	63
6.1. ანგარიშში გამოკვეთილი ტენდენციები	63
6.2. საპროკურორო საბჭოს სტრუქტურა და საბჭოს წევრთა მიერ დასემული შეკითხვები	65
6.3. საპროკურორო საბჭოს მიერ გასემული რეკომენდაციები	68
7. საპროკურორო საბჭოს სტრუქტურა პროკურატურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა	69

7.1. ანგარიში გამოკვეთილი ტენდენციები	70
7.2. სპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ ანგარიშთან დაკავშირებით დასმული შეკითხვები	71
7.3. სპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები	74
8. სპროკურორო საბჭოს სტომეზა პროკურატურის მიერ 2022 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა	76
8.1. ანგარიში გამოკვეთილი ტენდენციები	76
8.2. სპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დასმული შეკითხვები	77
8.3. სპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები	79
9. სპროკურორო საბჭოს საქმიანობის საჯაროობა	81
10. კვლევის უარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები	83
<b>VI. საზოგადოების წინაშე ანგარიშგაღებულება</b>	86
<b>VII. რეკომენდაციები</b>	90
<b>დანართი - საქართველოს პროკურატურისა და სპროკურორო საბჭოს პოზიციის კვლევის შესახებ</b>	93



# I. შესავალი

პროკურატურის ექსკლუზიური უფლება, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა და განსაზღვროს რომელი პირის მსჯავრდების საკითხი განიხილოს სასამართლომ, მართლმსაჯულების განხორციელებაში მის უმნიშვნელოვანეს როლს განაპირობებს. შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა დიდწილად ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის განმსაზღვრელია.

პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მისი დამოუკიდებლობა, თუმცა, დამოუკიდებლობა ანგარიშვალდებულების გარეშე საპროკურორო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების) დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის რეალურ საფრთხეს ქმნის. ზედმეტად ძლევამოსილი პროკურატურა, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე, შესაძლოა იქცეს რეპრესიების ინსტრუმენტად. სწორედ ამიტომ, აუცილებელია პროკურატურაზე, ისევე, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებზე, ხორციელდებოდეს კონტროლი.<sup>1</sup> ანგარიშვალდებულება არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობის კონცეფციას. პირიქით, რაც უფრო მეტია დამოუკიდებლობა, მეტი ანგარიშვალდებულებაა საჭირო.<sup>2</sup>

საქართველოს პროკურატურა კონსტიტუციური ორგანოა. იგი არ შედის არც ერთი სახელისუფლებო შტოს შემადგენლობაში. შესაბამისად, მისი დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალია. იქ სადაც პროკურორი დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, სახელმწიფომ უნდა დაადგინოს მისი დამოუკიდებლობის ფარგლები, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფს გავლენის არაფორმალური პრაქტიკის აღმოფხვრას, ხოლო, მეორე მხრივ პროკურორის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებას.<sup>3</sup>

1 იხ. CDL-AD (2004)038, *Opinion on the Draft Law amending the Law of Ukraine on the Office of the Public Prosecutor*, §23, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2004\)038-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2004)038-e) ;

„საპროკურორო დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება“, ჯეიმს ჰამილტონი, 2011 წელი, გვ. 7, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-UDT\(2011\)008-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-UDT(2011)008-e)

2 იხ. Consultative Council of European Prosecutors (2018), „Report of the meeting of the Working Group of 8-9 February 2018“, <https://rm.coe.int/report-of-the-22nd-meeting-of-the-ccpe-at-8-9-february-2018-strasbourg/168089ff4f>

3 იხ. *The Role of Public Prosecution in the Criminal Justice System*, <https://rm.coe.int/16804be55a>

პროკურატურის ანგარიშვალდებულება არ ვრცელდება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე. პროკურატურის ანგარიშვალდებულება გულისხმობს მისი საქმიანობის ზოგადი პოლიტიკის საკითხებზე კონტროლს, რაც სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ხორციელდება - საქმიანობის ანგარიშის პარლამენტისთვის ან საპროკურორო საბჭოსთვის წარდგენის, ანგარიშის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების, მედიასთან ან/და საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით. ანგარიშვალდებულმა პროკურატურამ პერიოდულად და საჯაროდ უნდა წარადგინოს ანგარიში არამხოლოდ მისი საქმიანობის ზოგად პრიორიტეტებზე, ამ პრიორიტეტების მიღწევის კონკრეტულ გზებზეც.<sup>4</sup>

საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციითა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოაღნიშნული ორგანული კანონით დადგენილია პროკურატურის საქმიანობის გარე მონიტორინგის სხვადასხვა მექანიზმი. კერძოდ, პროკურატურის საქმიანობაზე კონტროლი ხორციელდება საქართველოს პარლამენტისა და კოლეგიური ორგანოს - საპროკურორო საბჭოს მიერ მათთვის პროკურატურის მიერ საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენით, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პროკურატურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გამოყენებასა და ხარჯვაზე კონტროლის გზით. ამასთან, პროკურატურის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებს სასამართლო პროკურატურის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვევაში საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე გადაწყვეტილებებით.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია შეაფასოს საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების ხარისხი და შეიმუშაოს რეკომენდაციები მის გასაუმჯობესებლად ასეთი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში.

4    *nb. The Role of Public Prosecution in the Criminal Justice System, <https://rm.coe.int/16804be55a>*



## II.

# კვლევის

# ძირითადი მიგნებები

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს პროკურატურის საქმიანობაზე საქართველოს პარლამენტის მხრიდან ზედამხედველობა არ ხორციელდება. რაც შეეხება საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებას, კვლევით დადგინდა, რომ საპროკურორო საბჭო ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მიზანს. კერძოდ, კვლევით გამოვლინდა, რომ:

- საქართველოს პარლამენტს საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არც ერთხელ შეუფასებია სისტემის დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბების შემდეგ. კერძოდ, საქართველოს პარლამენტს არ განუხილავს პროკურატურის მიერ 2019-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები და არ შეუფასებია პროკურატურის საქმიანობა. შესაბამისად, პროკურატურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით პარლამენტს არ გაუცია არც ერთი რეკომენდაცია/დავალება. ანგარიშის განუხილველობის მიზეზად ერთ შემთხვევაში დასახელებულია საგანგებო მდგომარეობა, ხოლო, სხვა დანარჩენ შემთხვევაში მიზეზი გაურკვეველია;
- ერთადერთი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პარლამენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პროკურატურის მიმართ ყოველწლიურად გასცემდა დავალებებს, იყო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში. თუმცა, საქართველოს პარლამენტს ამ ფარგლებში გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობაც არ შეუფასებია 2019 წლის შემდეგ;
- საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილობითი კითხვები, რაც საპარლამენტო ზედამხედველობის ერთ-ერთი მექანიზმია, ძირითადად შეეხება (54%) სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვას, რომელთა ნაწილი მოცემულია გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ წერილობით ანგარიშში ან გამოქვეყნებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე.

პარლამენტის წევრთა მიერ გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილის წარმოება კი საერთოდ არ განეკუთვნება პროკურატურის კომპეტენციას. წერილობითი კითხვების შინაარსი ცხადყოფს, რომ ამ მექანიზმის გამოყენება პარლამენტის წევრთა მიერ არ ხდება ეფექტიანად;

- საქართველოს პროკურატურის საქმიანობაზე ზედამხედველობა 2019-2022 წლებში არ განუხორციელებია არც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელსაც დაკისრებული აქვს პროკურატურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვაზე კონტროლი;
- საპროკურორო საბჭომ, რომელიც შექმნილია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, 2019 წლის შემდგომ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინა წელიწადში ერთხელ, მაშინ როც კანონით დადგენილია 6 თვეში ერთხელ მისი მოსმენის ვალდებულება;
- საპროკურორო საბჭოს მიერ სხდომების გამართვის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არ მიეწოდება გონივრული ვადით ადრე. ასევე, საჯარო არ არის საბჭოს საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი ინფორმაცია (საპროკურორო საბჭოს სხდომის ოქმები, განკარგულებები და ა.შ.);
- საპროკურორო საბჭოს სხდომის გამართვამდე, საბჭოს წევრებს არ მიეწოდებათ გენერალური პროკურორის ანგარიში გონივრული ვადით ადრე (როგორც ეს ხდება საქართველოს პარლამენტის შემთხვევაში), რაც მათ მისცემდათ სხდომისთვის მომზადების შესაძლებლობას. შესაბამისად, საბჭოს წევრები ანგარიშს (რომლის მოცულობაც 100 გვერდს აღემატება) ისმენენ პირდაპირ სხდომაზე და ამავე სხდომაზე გაცემენ რეკომენდაციებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს თავმჯდომარე საპროკურორო საბჭოს წევრებს სთავაზობს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დამატებითი რეკომენდაციების გადმოგზავნას, მათი რაოდენობა სხდომის შემდეგ არ იცვლება;
- პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშებში ძირითადად წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები (გრაფიკები, სადაც ნაჩვენებია კლება/მატება), თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არის ახსნილი რა შინაარსია ამ ციფრების მიღმა. პროკურატურის საქმიანობის ამსახველ არც ერთ ანგარიშში არ არის პასუხი მთავარ კითხვაზე - როგორია საქართველოში კრიმინოგენური ვითარება - გაუმჯობესდა თუ გაუარესდა იგი. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროკურატურის მიერ ცალკეული მიმართულებით გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ, თუმცა, არ არის მოცემული იმ შედეგების შესახებ, რომლებიც პროკურატურის მიერ განხორციელებულმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ გამოიწვია. როგორც წესი, არ არის განმარტებული რამ განაპირობა სის-

ხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება, ცვლილება, შერბილება. სტატისტიკური ინფორმაციაც არ არის ერთიანი სტანდარტით წარმოდგენილი - მონაცემები მითითებულია სხვადასხვა წლიდან. მათ შორის, ზოგიერთი მონაცემი შედარებულია 12-14 წლის წინანდელ მდგომარეობას. ამასთან, ანგარიში არ მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას პროკურატურის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებებზე და მის მთავარ ფუნქციებზე. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროკურატურის მიერ განხორციელებული ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის თაობაზე, არც ერთ შემთხვევაში კვლევების შინაარსი - გამოვლენილი ტენდენციები, შედეგები, მიგნებები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები ანგარიშში ასახული არ არის. ანგარიშში არ არის არავითარი ინფორმაცია მოცემული პროკურატურის როლზე, რომელიც მას დაკისრებული აქვს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. არც ერთ ანგარიშში არ არის მითითებული საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურატურის მიერ საგამოძიებო ორგანოებში გამოძიების ჩატარების ხარისხის მიმართულებით იდენტიფიცირებული გამოწვევები/ხარვეზები. გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ არც ერთ ანგარიშში არ არის მითითებული სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის პროცესში სასამართლოში არსებული გამოწვევების/დაბრკოლებების შესახებ;

- საპროკურორო საბჭოს საქმიანობაში ფაქტობრივად არ იღებენ მონაწილეობას პარლამენტის წევრები. ისინი, როგორც წესი, არ ესწრებიან საპროკურორო საბჭოს სხდომებს ან დასწრების შემთხვევაში არ არიან ჩართული სხდომების მიმდინარეობის პროცესში. საპროკურორო საბჭოს მუშაობის პროცესში პასიური როლი აქვთ მოსამართლე წევრებსაც და საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს (როგორც წესი არ სვამენ კითხვებს, არ მონაწილეობენ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში);
- საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ საპროკურორო საბჭოს სხდომებზე დასმული შეკითხვების აბსოლუტური უმრავლესობა არის ნეიტრალური და უფრო მეტად ეხება პროკურატურის სამომავლო გეგმებს და ხედვებს, ვიდრე ანგარიშში მოცემულ შედეგებს. დასმული შეკითხვების მცირე ნაწილი პასუხობს იმ ხარვეზებს და გამოწვევებს, რაც ნათლად ჩანს საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში;
- საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ ყოველთვის დადებითად ფასდება გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანგარიშები. საბჭოს ყველა წევრი გამოხატავს კმაყოფილებას გენერალური პროკურორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიმართ. არც ერთ მათგანს არასოდეს აქვს შენიშვნა/

განსხვავებული მოსაზრება ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით. გამო-  
ნაკლისია იუსტიციის მინისტრის წარდგინებით პარლამენტის მიერ არჩე-  
ული ადვოკატი. მის მიერ ხდება ხაზგასმა გამოწვევებზე, რომლებსაც პრო-  
კურატურასთან ურთიერთობის პროცესში აწყდებიან ადვოკატები, თუმცა,  
საპროკურორო საბჭოს ამ წევრის მიერ დასმული პრობლემური საკითხი არ  
არის ხოლმე ასახული საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაცი-  
ებში;

- საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელთა რაო-  
დენობა ყოველწლიურად იზრდება, არ პასუხობენ პროკურატურის წინაშე  
მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს და იმ ხარვეზებს, რომლებიც  
ცალსახად გამოკვეთილია ანგარიშებში. გასაცემი რეკომენდაციების შესა-  
ხებ საპროკურორო საბჭოს მიერ მსჯელობა არ ხდება საფუძვლიანად - არ  
არის დანერგილი არც საბჭოს სხდომამდე და არც სხდომის შემდეგ საპ-  
როკურორო საბჭოს წევრთა შეკრებისა და რეკომენდაციებზე მსჯელობის  
პრაქტიკა. ზოგ შემთხვევაში კი გენერალური პროკურორისადმი გასაცემი  
რეკომენდაციების შესახებ საბჭოს მსჯელობას (რომელიც ზოგჯერ იმა-  
რთება იმავე სხდომაზე) ესწრება გენერალური პროკურორი და მისი მოა-  
დგილეები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს საბჭოს წევრთა მიერ მოსაზრებე-  
ბის გამოთქმა რეკომენდაციების შინაარსთან დაკავშირებით;
- მაშინ როცა საპროკურორო საბჭოს ქმედითი როლისთვის არსებითად  
მნიშვნელოვანია მისი ფორმირების წესი და შემადგენლობა, კანონმდებ-  
ლობით დადგენილი წესები უზღუდავს პროკურატურის თანამშრომლებს  
(პროკურორებს, გამომძიებლებს) საბჭოს წევრად მათი კანდიდატის თა-  
ვისუფლად დაყენების შესაძლებლობას და გამორიცხავს პროკურატურის  
მენეჯმენტის ჩართულობის გარეშე საბჭოში მათ არჩევას. ამასთან, საპ-  
როკურორო საბჭოს სხვადასხვა წევრთა გამოცდილების მიმართ კანო-  
ნმდებლობა აწესებს განსხვავებულ მიდგომებს. საპროკურორო საბჭოს  
არაპროკურორი ამჟამინდელი წევრებიდან მხოლოდ ერთს აქვს სისხლის  
სამართლის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. საპროკურორო საბ-  
ჭოს სხდომების ჩანაწერებით დგინდება, რომ ასეთი წევრები არ/ვერ ასრუ-  
ლებენ ქმედით როლს საბჭოს მუშაობაში;
- საპროკურორო საბჭოს წევრთა ფორმირების პროცესში პასიურია არასა-  
მთავრობო სექტორის როლი. საპროკურორო საბჭოში ამჟამად წარმოდგე-  
ნილია პირი ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან, რომლის  
საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება საჯარო წყაროებში და უც-  
ნობია საზოგადოებისთვის. არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რო-  
მელიც მუშაობს პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე,  
არ წარუდგენია საქართველოს პარლამენტისთვის საპროკურორო საბჭოს  
წევრობის კანდიდატი;

- საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი ერთ-ერთი მოსამართლე სანქცირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მნიშვნელოვან კორუფციაში მონაწილეობის გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით არ მოწვეულა საპროკურორო საბჭოს რიგგარეშე სხდომა და არ უმსჯელია საპროკურორო საბჭოს, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ფაქტს საპროკურორო საბჭოს რეპუტაციაზე;
- პროკურატურა პერიოდულად წარადგენს ანგარიშებს ცალკეული დანაშაულის თაობაზე სხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით, თუმცა, პროკურატურას არ აქვს დანერგილი მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მედიისთვის ან/და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენის პრაქტიკა;
- რაც შეეხება პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შესულ წერილებზე რეაგირებას, კვლევით დგინდება, რომ პროკურატურის მიერ გაცემული პასუხების შინაარსი თითქმის არასოდეს პასუხობს სრულყოფილად დაინტერესებული პირების (მათ შორის, პარლამენტის წევრთა) მიერ დასმულ შეკითხვებს;
- პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე და Facebook გვერდზე, რომლებსაც პროკურატურა აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, დიდი მოცულობით არის განთავსებული ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადების, პროკურატურის მიერ ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულისთვის ადვოკატის ღონისძიების შეფარდების, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესახებ. პროკურატურის მიერ, როგორც წესი, არ ხდება ინფორმაციის გავრცელება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების, გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე ფაქტობრივად არ ხდება ისეთი ინფორმაციის განთავსება, რომელიც ეხება პროკურატურის მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგებს, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების შეფასებას, პროკურატურის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს. ასევე, პროკურატურა საჯაროდ არ საუბრობს სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, საპროკურორო საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებზე. პასიურია თავად გენერალური პროკურორის როლიც საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ საქართველოს პროკურატურის საქმიანობაზე ზედამხედველობა, მისი იუსტიციის სამინისტროდან გამოყო-

ფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბების შემდეგ, არ განუხორციელებია საქართველოს პარლამენტს. ასევე, არ შეფასებულა პროკურატურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის პროცესი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ. ერთადერთი ორგანო, რომლის წინაშეც საქართველოს გენერალური პროკურორი წარადგენდა ანგარიშებს (ისიც კანონით დადგენილი ვადების დარღვევით) იყო საპროკურორო საბჭო, რომლის შემადგენლობა, ფორმირების წესი და გაცემული რეკომენდაციების შინაარსი ცხადყოფს, რომ მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რეალური და ხელშესახები გავლენა პროკურატურის საქმიანობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიაში არაფერია ნათქვამი პროკურატურის ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე. პროკურატურის მიერ არ არის გამოწვევად დანახული პროკურატურის ანგარიშვალდებულების მიმართულებით არსებული მდგომარეობა. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული არც საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და არც პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებით რაიმე ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.<sup>5</sup>

---

5 იხ. საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2022-2027 წლები), <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf>



# III. კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების ხარისხის შეფასების მიზნით, კვლევის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაო:

- პროკურატურის ანგარიშვალდებულების შესახებ შესწავლილი იქნა საერთაშორისო რეგულაციები, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა და პროკურატურის საქმიანობის ანგარიშები. პირველ ეტაპზე მოძიებული იქნა ზოგადი ინფორმაცია იმ ქვეყნების საპროკურორო სისტემებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლოა საინტერესო ყოფილიყო საქართველოსთვის: ბალტიის ქვეყნები (ლიტვა, ლატვია) - პოსტ-საბჭოთა და ამჟამად ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებმაც მოკლე დროში მოახერხეს დემოკრატიის მშენებლობა; უკრაინა და მოლდოვა - ასოცირებული ტრიოს ქვეყნები და ევროკავშირის წევრობის კანდიდატები; ბალკანეთის ქვეყნები (ალბანეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო), რომლებიც ევროკავშირის წევრობის მოლაპარაკების პროცესში არიან; სხვა დემოკრატიული ქვეყნები, რომლებსაც პარლამენტის წინაშე პროკურატურის ანგარიშვალდებულების სისტემა აქვთ. ზემოაღნიშნული ქვეყნების საპროკურორო სისტემებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, საკვლევი ქვეყნების წრე დავიწროვდა და სიღრმისეულ შესწავლას დაექვემდებარა ლიეტუვა, ლატვია, შვეიცარია, ავსტრალია, კანადა, ინგლისი და უელსი. ამ ქვეყნების პროკურატურის ორგანოების ანგარიშებში საინტერესოდაა წარმოდგენილი პროკურატურის საქმიანობა. შესაბამისად, მათი პრაქტიკის გაზიარება საინტერესოა საქართველოსთვის;
- გაანალიზდა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია პროკურატურის ანგარიშვალდებულების მიმართულებით;
- შესწავლილი იქნა და გაანალიზდა საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ საქართველოს პარლამენტისთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში (2020, 2021, 2022 წლებში) წარდგენილი ანგარიშები;

- გაანალიზდა საქართველოს პარლამენტისგან გამოთხოვილი ინფორმაცია პარლამენტის მიერ პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვის, პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილობითი კითხვების, სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე პარლამენტის მიერ პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებებისა და საპროკურორო საბჭოს წევრების პარლამენტის მიერ არჩევის შესახებ;
- შესწავლილი იქნა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდებზე პროკურატურის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით განთავსებული საჯარო ინფორმაცია;
- შესწავლილი იქნა და გაანალიზდა საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ საპროკურორო საბჭოსთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში (2020, 2021, 2022 წლებში) წარდგენილი ანგარიშები;
- შესწავლილი იქნა და გაანალიზდა საპროკურორო საბჭოს მიერ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ბოლო სამი (2020, 2021, 2022) წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშების განხილვის სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანაწერები;
- გაანალიზდა საქართველოს გენერალური პროკურატურისგან და საპროკურორო საბჭოსგან გამოთხოვილი ინფორმაცია საპროკურორო საბჭოს სხდომების და მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ;
- შესწავლილი იქნა და გაანალიზდა საპროკურორო საბჭოს ვებგვერდი, საპროკურორო საბჭოს Facebook გვერდი და მათზე განთავსებული ინფორმაცია;
- შესწავლილი იქნა საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე 2022 წელს გამოქვეყნებული ყველა ინფორმაცია;
- წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების საკითხებზე ჩატარდა ინტერვიუები საპროკურორო საბჭოს 4 წევრთან (2 - პროკურორი წევრი, 1 - საპარლამენტო ოპოზიციის წევრი, 1 - პარლამენტის მიერ არჩეული წევრი არასამთავრობო სექტორიდან), საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური პარტიების (ლელო, საქართველოსთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გირჩი) 4 წევრთან (ანა ნაცვლიშვილი, მიხეილ დაუშვილი, ხატია დეკანოიძე, იაგო ხვიჩია), არასამთავრობო ორგანიზაციების (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, სოციალური სამართლიანობის ცენტრი) 4 და სახალხო დამცველის ოფისის 3 წარმომადგენელთან.



ინტერვიუს ჩატარების მიზნით შეხვედრა შეთავაზებული იქნა ასევე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისთვის. ამ მიზნით, განხორციელდა კომიტეტის აპარატის უფროსთან კომუნიკაცია ორჯერ და მიწოდებული იქნა ინფორმაცია პროექტის არსისა და ვადების შესახებ, თუმცა, კომიტეტის მხრიდან არ იქნა დაფიქსირებული პოზიცია პროექტში ჩართვის და არც პროექტში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული იქნა კვლევის მიზნებისთვის გამოთხოვილი ინფორმაცია სრულყოფილად და კანონით დადგენილ ვადებში. რაც შეეხება საქართველოს პროკურატურას, არ მოუწოდებია კვლევის მიზნებისთვის გამოთხოვილი შემდეგი ინფორმაცია: პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა და საპროკურორო საბჭოს სხდომის ოქმები.

## IV. საქართველოს პროკურატურის

## ანგარიშვალდებულება

## საქართველოს პარლამენტის წინაშე

პროკურატურის ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა საპარლამენტო კონტროლი - პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება. საერთაშორისო რეგულაციებით შემოსაზღვრულია პარლამენტის უფლებამოსილების ფარგლები საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესში. კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ ზოგადი პრინციპებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც პროკურატურა იღებს გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურ საქმეებზე, მიჩნეულია ნორმალურ პრაქტიკად, ხოლო, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკანონმდებლო ორგანოს ჩარევა განიხილება საფრთხედ პროკურატურის დამოუკიდებლობისთვის.

ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ პროკურორი პარლამენტის წინაშე პასუხს უნდა აგებდეს ზოგადი პოლიტიკის საკითხებზე და არა კონკრეტულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.<sup>6</sup> პროკურორს არ უნდა ჰქონდეს ვალდებულება ეროვნულ ასამბლეას (იგულისხმება პარლამენტი) წარუდგინოს ანგარიში ინდივიდუალური საქმის დეტალების შესახებ.<sup>7</sup> სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრაში საკანონმდებლო ხელისუფლების, იუსტიციის სამინისტროსა და მთავრობის როლი გადამწყვეტია, თუმცა, ინდივიდუალურ საქმეებზე დევნის დაწყება-არ დაწყება მხოლოდ პროკურატურის გადასაწყვეტია. გენერალურმა პროკურორმა გამჭვირვალედ უნდა ახსნას, როგორ მოხდა ზოგადი ინსტრუქციების იმპლემენტაცია, თუმცა, კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და არ დაწყების გადაწყვეტილებები არ უნდა

6 *ib. The Independence of Judges and Prosecutors: Perspectives and Challenges*, გვ.10, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-UDT\(2011\)008-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-UDT(2011)008-e)

7 *ib. CDL-AD (2013)006, Opinion on the Draft amendments to the Law on the Public Prosecution of Serbia*, §25, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-AD\(2013\)006-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdf=CDL-AD(2013)006-e)

ექვემდებარებოდას საპარლამენტო კონტროლს.<sup>8</sup>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2020 წლის კვლევაში „პროკურორთა დამოუკიდებლობა აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და აზია-წყნარი ოკეანეთის ქვეყნებში“ აღნიშნულია, რომ პროკურატურის ავტონომია დაბალანსებულია პროკურატურის ანგარიშვალდებულებით ხელისუფლების შტოების, სასამართლოს, საზოგადოებისა და თავად პროკურატურის შიგნით. გენერალური პროკურორი ანგარიშვალდებულია პროკურატურის ზოგად საქმიანობაზე, დაუშვებელია ჩარევა კონკრეტულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს საკითხები მხოლოდ პროკურატურის გადასაწყვეტია.<sup>9</sup> ამავე კვლევაში მითითებულია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი ქვეყნების 85% (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კამბოჯა, კუკის კუნძულები, ესტონეთი, საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალაიზია, მოლდოვა, მონღოლეთი, ფილიპინები, რუმინეთი, სერბეთი, სლოვენია, ტიმორ-ლესტე, უკრაინა, უზბეკეთი და ვიეტნამი) ავალდებულებს გენერალურ პროკურორს ანგარიშის წარდგენას აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე. ეს ანგარიშები, მათ შორის, მოიცავს პროკურატურისადმი გაცემული ზოგადი ინსტრუქციების და გაიდლაინების იმპლემენტაციის მდგომარეობას (იქ სადაც გაცემული იყო).<sup>10</sup>

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია საქართველოს პროკურატურის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება, რომლის ფარგლები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ამასთან, გენერალურ პროკურორს ეკისრება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებსა და ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შესახებ საქართველოს პარლამენტისთვის ანგარიშის ყოველწლიურად წარდგენის ვალდებულება, რომელიც არ მოიცავს ინფორმაციას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ.

8 *ib. Independence of Prosecutors in Eastern Europe, Central Asia and Asia Pacific*, გვ. 55, პარაგრაფი 1.5., <https://www.oecd.org/corruption/The-Independence-of-Prosecutors-in-Eastern-Europe-Central-Asia-and-Asia-Pacific.pdf>

9 *ib. Independence of Prosecutors in Eastern Europe, Central Asia and Asia Pacific*, გვ.55, პარაგრაფი 1.5., <https://www.oecd.org/corruption/The-Independence-of-Prosecutors-in-Eastern-Europe-Central-Asia-and-Asia-Pacific.pdf>

10 *ib. Independence of Prosecutors in Eastern Europe, Central Asia and Asia Pacific*, გვ. 55, პარაგრაფი 1.5.1., <https://www.oecd.org/corruption/The-Independence-of-Prosecutors-in-Eastern-Europe-Central-Asia-and-Asia-Pacific.pdf>

# 1. პარლამენტის წინაშე პროკურატურის ანგარიშვალდებულების საკანონმდებლო რეგულირება

საქართველოს პროკურატურის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პროკურატურა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს საქმიანობის ანგარიშს.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის თანახმად, პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება პროკურატურის საქმიანობის შესახებ საპარლამენტო ანგარიშის მოსმენით. ამ მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორი, წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წინა წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს. ორგანული კანონით ასევე გაწერილია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ანგარიში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 15 მაისისა, პარლამენტისთვის პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას და ანგარიშის რეკვიზიტებს, ასევე ადგენს პარლამენტის მიერ ანგარიშის განხილვის წესს (და აკეთებს მითითებას რეგლამენტის 176-ე მუხლის მე-2–მე-5 და მე-9 პუნქტებზე).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანგარიში საქართველოს პარლამენტში გადის შემდეგ ეტაპებს:

- გენერალური პროკურორის მიერ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი მას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას;
- პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშის განხილვის პროცედურის დაწყების თაობაზე, განსაზღვრავს წამყვან კომიტეტს და ანგარიშის საპარლამენტო განხილვის ვადებს;
- ბიუროს სხდომის შემდეგ ანგარიში განსახილველად გადაეცემა წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს და ფრაქციებს;

- პარლამენტის კომიტეტები და ფრაქციები პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადასცემენ წამყვან კომიტეტს ანგარიშის თაობაზე თავიანთ შენიშვნებს;
- წამყვანი კომიტეტი პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში კომიტეტის სხდომაზე განიხილავს ანგარიშს, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს;
- ბიუროს სხდომის შემდეგ, ანგარიში პლენარულ სხდომაზე განიხილება კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისთვის დადგენილი წესით;<sup>11</sup>
- ანგარიშის განხილვის შემდეგ პარლამენტი დადგენილებით აფასებს საქართველოს პროკურატურის საქმიანობას. პარლამენტის დადგენილებაში შეიძლება მიეთითოს ცალკეული ხარვეზის აღმოფხვრასთან ან/და სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და წინადადებები;
- დადგენილების შესრულებას ზედამხედველობს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

## 2. პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების შინაარსი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გაწერილია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გენერალური პროკურორის მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიში. იგი უნდა ეხებოდეს შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები; ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასება, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებლები, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით; სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები; პროკურორთა პროფესიული გადამზადების და განვითარების პროგრამები. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

<sup>11</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ანგარიშის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა სავალდებულოა, თუ შესაბამისი კანონით გათვალისწინებულია ანგარიშის წარმდგენი ორგანოს დაკომპლექტებაში პარლამენტის მონაწილეობა. ვინაიდან საქართველოს გენერალური პროკურორის არჩევა ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ, გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა სავალდებულოა პლენარულ სხდომაზე, 176-ე მუხლის მე-6 ნაწილი, <https://parliament.ge/legislation/reglament/1560>

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ბოლო სამი წლის განმავლობაში პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში: პროკურატურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (115 გვერდი), რომელიც პარლამენტს წარედგინა 2021 წლის 14 მაისს; პროკურატურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (120 გვერდი), რომელიც პარლამენტს წარედგინა 2022 წლის 13 მაისს; პროკურატურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (158 გვერდი), რომელიც პარლამენტს წარედგინა 2023 წლის 15 მაისს.

## 2.1. ანგარიშის სტრუქტურა და პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის სტრუქტურა გამობატავს პროკურატურის საქმიანობის მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

სამივე ანგარიშის ძირითადი სტრუქტურა (თავები) თითქმის იდენტურია: შესავალი, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო, ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა, ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა, საპროკურორო ზედამხედველობა და ანალიტიკური საქმიანობა, ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება, სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, გენერალური ინსპექციის მუშაობა, საერთაშორისო თანამშრომლობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება, სამომავლო გეგმები.

რაც შეეხება ანგარიშის ქვეთავებს, მათი ნაწილი იცვლება ყოველ მომდევნო წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, პროკურატურის პრიორიტეტებისა და მიღწეული პოზიტიური შედეგების მიხედვით. მაგალითად, 2020 წლის ანგარიშში ცალკეული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თავში მოცემულია ინფორმაცია შემდეგი დანაშაულების შესახებ: ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახური დანაშაული, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, არასათანადო მოპყრობა, ტრეფიკინგი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, კორუფციული დანაშაული, ნარკოტიკული დანაშაული. 2021 წლის საქმიანობის ანგარიშში დამატებულია ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხები, ხოლო, 2022 წლის ანგარიშში დამატებულია ტრანსნაციონალური თაღლითობისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ



ბრძოლის საკითხები. ასევე, პროკურატურის, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს თავში 2020 წლის ანგარიშში მოცემული იყო შემდეგი თავები: გამოძიების დაწყება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, განაჩენები, გამოძიების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება (პროგრამა IBM12), იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები. 2021 წლის ანგარიშში აღარ არის მოცემული თავი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, ხოლო, 2022 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგებზე არ არის ინფორმაცია მითითებული.

რაც შეეხება თითოეულ ნაწილში (თავში, ქვეთავში) მოცემულ ინფორმაციას, ზოგიერთ შემთხვევაში დამატებულია სტატისტიკური მონაცემები ან/და ინფორმაცია კონკრეტული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ, თუმცა, რიგ შემთხვევაში წარმოდგენილია წინა წლ(ებ)ის მსგავსი ინფორმაცია - სტატისტიკა, განხორციელებული რეფორმები (ზოგჯერ იდენტურად არის ტექსტებიც გადმოტანილი), მაშინ როცა საზოგადოებისთვის საინტერესოა ბოლო წლის (და არა 2 წლის წინ მიღწეული) პროგრესი.

**მაგალითად:**

2020 წლის ანგარიში: „2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს.“

2021 წლის ანგარიში: „2020 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს.“

2022 წლის ანგარიში: „2020 წლიდან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საპროცესო ხელმძღვანელობას სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ, რომლებმაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, გადამზადების სასწავლო კურსი გაიარეს.“

იმისათვის, რომ კვლევის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები პასუხობდეს ამჟამად არსებულ მოცემულობას, ანგარიშში დეტალურად გაანალიზდა გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ბოლო ანგარიში, რომელიც ასახავს პროკურატურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

## 2.2. სტატისტიკური მაჩვენებლები

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მონაცემები. საზოგადოებისთვის ბუნდოვანია თითოეული სტატისტიკური მონაცემის დათვლის მეთოდოლოგია, რაც ართულებს ან/და შეუძლებელს ხდის მათ ანალიზს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 2010 წელს უწყებებს (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, უზენაესი სასამართლო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური) შორის გაფორმებული მემორანდუმი სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ (ამ დროისთვის საქართველოს პროკურატურა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება). მემორანდუმის თანახმად, მისი განუყოფელი ნაწილია დანართი, რომელიც საჯაროდ არ იძებნება. შესაბამისად, უცნობია თითოეული სტატისტიკური მონაცემის წარმომავლობა (გამოთვლის მეთოდი).<sup>12</sup> საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ სტატისტიკური მონაცემების დათვლის/გამოთვლის მეთოდოლოგია, რომელთა წარმოება შედის პროკურატურის კომპეტენციაში. მაგალითად, გამოძიების დაწყება (პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე), სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, დაზარალებულად ცნობა, განრიდების მაჩვენებელი და სხვა. აღსანიშნავია, რომ გენერალური პროკურორის მიერ პროკურატურის მხრიდან გაწეული საქმიანობის შესახებ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშებში ზოგჯერ მოცემულია კონკრეტული მონაცემის გამოთვლის მეთოდოლოგია. მაგალითად, აღკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებული მონაცემი გამოთვლილია სამი სხვადასხვა მეთოდოლოგიით. აღნიშნული იწვევს გაურკვევლობას საზოგადოებაში - რა განაპირობებს (მათ შორის, აღნიშნული მონაცემების გამოთვლის მეთოდოლოგია განსხვავებულია სასამართლოსგან) და რომელი მეთოდით გამოთვლილი მონაცემის საფუძველზე შეაფასოს მოცემული საკითხი. საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად მიმდინარეობს სტატისტიკის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც იქნება საჯარო.

რაც შეეხება ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მონაცემების პერიოდს, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მონაცემი წარმოდგენილია სხვადასხვა წლიდან. კერძოდ:

- 2012 წლიდან არის წარმოდგენილი არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი;
- 2013 წლიდან - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა;

12 იხ. მემორანდუმის ტექსტი: [https://www.geostat.ge/media/39605/statistikis\\_memorandumi\\_GEO.pdf](https://www.geostat.ge/media/39605/statistikis_memorandumi_GEO.pdf)



- 2014 წლიდან - ინფორმაცია ოჯახურ და სხვა კატეგორიის დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სტადიების, არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებებისა და სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ; საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი; არსებითი განხილვისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი; ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;
- 2015 წლიდან - საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებისა და სრულწლოვან (21 წლის ასაკს ზემოთ) პირთა განრიდების მაჩვენებლები;
- 2017 წლიდან - სტატისტიკური ინფორმაცია პროკურატურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ;
- 2019 წლიდან - მონაცემები სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშებისა და მათზე განხორციელებული რეაგირების, ასევე, „ქურდული სამყაროს“ საქმეებზე და ნარკოტიკების რეალიზატორების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ;
- 2020 წლიდან - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ყადაღა-ამოღების მაჩვენებელი, ტრანსნაციონალური თაღლითობის საქმეებზე და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი;
- 2021 წლიდან - კორუფციულ დანაშაულებზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და გამოტანილი განაჩენების მაჩვენებელი, „ქურდული სამყაროს“ საქმეებზე მსჯავრდებულ პირთა შესახებ ინფორმაცია;
- 2022 წელი - გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული მონაცემები, დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაცია.

სტატისტიკური მონაცემების ნაწილი საერთოდ არ არის დიფერენცირებული წლების მიხედვით, რაც ართულებს პროგრესის გაზომვას ან/და ამ დანაშაულზე რეაგირების დინამიკის შეფასებას (მაგალითად, მონაცემები მოცემულია

შემდეგი ფორმით: „2015-2022 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 210 ფაქტი“, „ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, 2015-2021 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ“, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ამოქმედებიდან დღემდე სულ გაიმართა 77 სისხლის სამართლის საქმის პროცესი“, „2018-2021 წლებში უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ“).

ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის ანგარიშში მითითებული პერიოდი აიხსნება საკანონმდებლო ცვლილებებით. მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული მკვლევლობის საქმეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2011 წლიდან - ამ ინსტიტუტის ამოქმედების დროიდან, ისევე როგორც 21 წლამდე ასაკის პირების განრიდების სტატისტიკა წარმოდგენილია ამ მექანიზმის დაწესების დაწყების დღიდან (2010 წლიდან). რაც შეეხება სხვა მონაცემებს, რთულია კონკრეტულ გარემოებასთან მათი დაკავშირება. შესაბამისად, ბუნდოვანია, რატომ არის წარმოდგენილი ნაწილი მათგანი 2014 წლიდან, ნაწილი - 2017 წლიდან, ნაწილი - 2019 წლიდან და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 12-14 წლის წინანდელი სტატისტიკური მონაცემებია წარმოდგენილი ისეთ საკითხებზე, რომლებიც აჩვენებს წინა ხელისუფლების დროს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს ან/და მიუთითებს სასამართლოს მხრიდან პროკურატურის საქმიანობაზე მონიტორინგის არარსებობაზე. კერძოდ:

- 2009 წლიდან წარმოდგენილია შემდეგი მონაცემები - არსებითი განხილვით გამოტანილი გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა (2009 წელს გამამართლებელი განაჩენების გამოტანის მაჩვენებელი იყო 0.3%, ხოლო 2022 წელს - 10.5%), საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა (2009 წელს ეს თანხა იყო 61 989 122, ხოლო 2022 წელს - 31 693 751 ლარი); იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა განაჩენი (მათი რაოდენობა 2010 წელს იყო 19956, ხოლო 2022 წელს - 16843), არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენების თანაფარდობა (2011 წელს საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი იყო 87%, ხოლო 2022 წელს - 71%);
- 2010 წლიდან წარმოდგენილია შემდეგი მონაცემები - პროკურორების მიერ მოთხოვნილი ადვოკატის ღონისძიებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი (2010 წელს იყო 99%, ხოლო 2022 წელს - 82%), პროკურორების მიერ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (2010 წელს იყო 99%, ხოლო 2022 წელს - 72%), პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (2010 წელს მათი რაოდენობა იყო 23 684, ხოლო 2022 წელს - 9868), არასრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობა (2010 წელს მათი რიცხვი იყო 209, ხოლო 2022 წელს - 46).

ზოგიერთ მონაცემს, პროგრესის დემონსტრირებისთვის, თან ერთვის კომენტარი, რომლითაც განსაკუთრებული აქცენტი არის 2010-2012 წლების შემდგომ პროგრესზე (მაგალითად, ანგარიშში მითითებულია: „როგორც მონაცემებით ჩანს, 2010-2012 წლების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ სრულწლოვან თავისუფლებადაცვითელ პირთა რაოდენობა ფაქტიურად 50-60% არის შემცირებული.“).

პროკურატურის ზემოაღნიშნული მიდგომა გარდა იმისა რომ ანგარიშს პოლიტიზებულს ხდის, ასევე წარმოადგენს მცდელობას საზოგადოებამ პროკურატურის ბოლო წლის საქმიანობა (და მიღწეული პროგრესი თუ ხარვეზები) შეადაროს არა წინა უახლოეს წლებს (მათ შორის, გაზომოს მოქმედი გენერალური პროკურორის პარლამენტის მიერ არჩევის შემდგომ ყოველწლიური პროგრესი), არამედ 13-14 წლის წინანდელ პერიოდს.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ანგარიშში არ არის ერთიანი სტანდარტით წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია კონკრეტულ დანაშაულებზე. ფაქტობრივად ყველა დანაშაულთან დაკავშირებით სტატისტიკის წარმოებისა და წარმოდგენის მიმართულებით საქართველოს პროკურატურა იყენებს განსხვავებულ მიდგომას. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ინფორმაციასთან ერთად მოცემულია გამოძიების დაწყების მაჩვენებელი, რამდენიმე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მოთხოვნილი/გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების ან/და გამოტანილი განაჩენების შესახებ. მაგალითად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესახებ წარმოდგენილია სტატისტიკური ინფორმაცია გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ; კორუფციულ დანაშაულებზე წარმოდგენილია ინფორმაცია როგორც გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ასევე სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირთა შესახებ; „ქურდული სამყაროს“ საქმეებზე წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების მაჩვენებლები; ოჯახურ დანაშაულზე წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და ამ კატეგორიის დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ არ არის წარმოდგენილი გამოტანილი განაჩენების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის ასეთი ფორმით წარმოდგენა არ ქმნის სრულ სურათს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ.

მაშინ როცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას აქვეყნებს რეგისტრირებული დანაშაულის<sup>13</sup> შესახებ, საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია გამოძიების დაწყების შესახებ (რაც სწორი პრაქტიკაა), მათ შორის, იმ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობის თაობაზე, რომლებზეც სხვა საგამოძიებო უწყებებმა (მაგალითად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, კორუფციულ დანაშაულებზე სხვა უწყებებმა) დაიწყეს გამოძიება. მნიშვნელოვანია საქართველოს პროკურატურის მხრიდან გადაიდგას ნაბიჯები დანაშაულის აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით.

ანგარიში არ მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას პროკურატურის საქმიანობის ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა: ინფორმაცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების შესახებ (მათგან, რამდენი ჩატარდა გადაუდებლად და რამდენი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, როგორია პროკურორების შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი); პროკურატურის მიერ გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი; წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის მაჩვენებელი; პროკურატურის მიერ ბრალდებაზე უარის თქმისა და არსებული ბრალდების უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლის მაჩვენებელი; პროკურატურის მიერ გაცემული წერილობითი მითითებების რაოდენობა (საგამოძიებო ორგანოების მითითებით); ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისა და გამოძიებლის გადაწყვეტილების გაუქმების მაჩვენებელი; პროკურატურის მიერ საგამოძიებო ორგანოს მიერ დაკავებულ პირთა გათავისუფლების მაჩვენებელი; ბრალდებულთა მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმის მაჩვენებელი; პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილ პირთა რაოდენობა (დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის მაჩვენებელი, მისი გასაჩივრებისა და სასამართლოს მიერ ამ საჩივრის განხილვის შედეგები). ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ყველაზე კარგად აჩვენებს როგორ ასრულებს პროკურატურა მის საზედამხედველო ფუნქციას საგამოძიებო ორგანოებზე და რამდენად ქმედითი როლი აქვს პროცესის მონაწილეთა და ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები არ მოიცავს ინფორმაციას საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული და სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის შეფასდეს თითოეულ რეგიონში არსებული კრიმინოგენური ვითარება და პროკურორთა დატვირთვა.

<sup>13</sup> რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი - გამოძიების დაწყების მაჩვენებელი იმ სისხლის სამართლის საქმეთა გამოკლებით, რომლებზეც გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობით.

## 2.3. სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები

ანგარიშებში წარმოდგენილია ინფორმაცია პროკურატურის მიერ ცალკეული მიმართულებით გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ, თუმცა, არ არის დაფარული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, ანგარიშებით დგინდება, რომ:

- პროკურატურის მიზანია ერთგვაროვანი და სწორი პრაქტიკის დანერგვა;
- სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებისას დაზარალებულთა კანონიერ ინტერესს, ასევე საჯარო ინტერესს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა;
- პროკურატურის პრიორიტეტია ნაკლები რესურსი დაიხარჯოს მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ფაქტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე;
- სრულწლოვან პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების - დისკრეციისა და განრიდების - გამოყენებისას მხედველობაში მიიღება საჯარო ინტერესი, დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს;
- სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი - განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად განიხილება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდება/მედიაციის გამოყენება;
- მკაცრია პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ძალადობრივი, ასევე, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ - ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ხდება პატიმრობის მოთხოვნა, სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად იგზავნება სასამართლოში და საპროცესო შეთანხმება ფორმდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული თანამშრომლობის ან/და მამხილებელი ჩვენების მიცემისას;
- მკაცრია პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკორეალიზატორების მიმართ - ნარკოტიკების გასაღებისთვის ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ხდება პატიმრობის მოთხოვნა და როგორც წესი, ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელ პირებთან არ ფორმდება საპროცესო შეთანხმება.



ანგარიშებში არ არის მოცემული ინფორმაცია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორცაა: პროკურატურის ხელვა და პოლიტიკა ჟურდობაზე (მაშინ როცა ყველაზე მეტი სისხლისსამართლებრივი დევნა სწორედ ამ დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ დაიწყო პროკურატურამ ბოლო წლების განმავლობაში); როგორია სისხლის სამართლის პოლიტიკა კორუფციული დანაშაულის, ასევე, მოხელეთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეებზე (რა ღონისძიებების გატარება მოხდა ამ კატეგორიის დანაშაულების პრევენციის მიზნით, რომელი ადვოკატის ღონისძიების მოთხოვნა და გამოყენება ხდება ამ კატეგორიის დანაშაულებისთვის ბრალდებულ პირთა მიმართ, ფორმდება თუ არა მათთან საპროცესო შეთანხმება (დადებით შემთხვევაში, რა პირობებზე), ხდება თუ არა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება); როგორია პროკურატურის პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ასევე, ჟურნალისტების/უფლებადამცველების მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ.

ამასთან, ანგარიშებში არ არის მოცემული ინფორმაცია პროკურატურის მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგების შესახებ (მაშინ, როცა ანგარიშში ამ საკითხზე ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულოა კანონმდებლობით). მაგალითად, ანგარიშში არ მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რა შედეგები მოჰყვა ნარკოტიკების რეალიზატორთა ან/და ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას, რა შედეგები მოჰყვა „კანონიერ ჟურდობასთან“ დაკავშირებულ დანაშაულებზე უმკაცრესი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას და ა.შ. საქართველოს პროკურატურას მხოლოდ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების შედეგები აქვს გაზომილი (დაბალია არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი).

ანგარიშებში (ისევე როგორც წინა წლებში), როგორც წესი, არ არის განმარტებული რამ განაპირობა სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება, ცვლილება, შერბილება. მაგალითად, რატომ შემცირდა პატიმრობის მაჩვენებელი (რომელ დანაშაულებზე და რატომ შეარბილა პროკურატურამ პოლიტიკა);<sup>14</sup> რამ განაპირობა საპროცესო შეთანხმების პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა; მაშინ როცა პროკურატურა ყველა წელს დადებით ტენდენციად აღნიშნავდა საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებლის შემცირებას, რატომ არის 2014 წლის შემდეგ პირველად გაზრდილი ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი; რატომ არის გაზრდილი საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების ადვოკატის გამოყენების მაჩვენებელი; რატომ და რომელი დანაშაულის ხარჯზეა გაზრდილი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა/

14 პატიმრობის კლებასთან დაკავშირებით, მითითებულია მხოლოდ ის, რომ ოჯახურ დანაშაულზე 2021-2022 წლებში პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი მცირედით შემცირდა (მიუხედავად იმისა, რომ არის ახსნილი).

ბრალდებულთა რაოდენობა; რატომ არის არასრულწლოვნებთან საპროცესო შეთანხმების დადების მაჩვენებელი დაბალი სრულწლოვნებთან შედარებით; რამ განაპირობა პროკურატურის (როგორც საგამოძიებო ორგანოს) მიერ გამოძიების დაწყების მაჩვენებლის მომატება და ა.შ.

ერთეულ შემთხვევებში, პროკურატურას აქვს განმარტებული ამა თუ იმ მონაცემის ზრდის/კლების მიზეზი. მაგალითად, პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებლის გაზრდის მიზეზად მითითებულია პროკურორთა მხრიდან შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გაზრდა, სრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებლის გაზრდის მიზეზად კი დასახელებულია ამ საკითხებზე პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება. ხაზგასასმელია ისიც, რომ ზოგიერთი მაჩვენებლის გაზრდა/კლება ახსნილია არარელევანტური გარემოებით.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურაში შექმნილია სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ერთი თავი ეთმობა ამ საბჭოს მუშაობას და აღნიშნულია, რომ 2022 წელს საბჭომ განიხილა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და პროკურატურის თანამშრომელთა შეფასების სისტემაში შესატანი ცვლილებების პროექტები, ასევე პროკურატურის ტერიტორიული დანაყოფების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები, არ არის მოცემული ინფორმაცია საბჭოს მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ. შესაბამისად, არ ჩანს რამდენად ქმედითია საბჭოს მუშაობა ამ მიმართულებით.

## 2.4. ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასება

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში მითითებულია, რომ ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასება, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებლები, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით.

საქართველოს პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშებში ძირითადად მოცემულია მშრალი სტატისტიკური ციფრები (გრაფიკები, სადაც ნაჩვენებია კლება, მატება). როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), არ არის ახსნილი, რა შინაარსია ამ ციფრების მიღმა.

პროკურატურის საქმიანობის ამსახველ არც ერთ ანგარიშში არ არის პასუხი მთავარ კითხვაზე - როგორია საქართველოში კრიმინოგენური ვითარება - გაუმჯობესდა თუ გაუარესდა იგი. 2022 წელს საგრძნობლად გაიზარდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. ანგარიშში არ არის განმარტებული, რამ განაპირობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის მომატება და აქვს თუ არა ამას კავშირი კრიმინოგენური ვითარების გაუარესებასთან. პროკურატურის მიერ პარლამენტში წარდგენილ ანგარიშებში არ ჩანს პროკურატურის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებული უწყების როლი - რა ნაბიჯები გადადგა უწყებამ კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესების, დანაშაულის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით.

მწირია კრიმინოგენური კვლევები, რომელთა ჩატარების ხელშეწყობა გენერალური პროკურორის კომპეტენციად არის განსაზღვრული. 2022 წელს ჩატარდა მხოლოდ განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, რომელშიც მითითებული ინფორმაცია, ანგარიშის თანახმად, შესაძლოა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებს. ასევე, გაანალიზდა 2018-2021 წლებში რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეები, რომელიც, ანგარიშის თანახმად, მოიცავს ამ კატეგორიის დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებსაც.

ამასთან, კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების ჩადენის ხერხების თაობაზე იშვიათად ხდება პროკურატურის მიერ საზოგადოების ინფორმირება, მაშინ როცა ეს ინფორმაცია არსებითად მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციისთვის. 2022 წლის ანგარიშში მხოლოდ ორი კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით არის მოცემული ასეთი ინფორმაცია - ე.წ. „ქოლცენტრების“ გამოყენებით დანაშაულის ჩადენის ხერხებზე და ნარკორეალიზატორების მიერ გამოყენებულ მეთოდებზე.

ზოგადად, პროკურატურის ანგარიშებს აკლია ანალიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროკურატურის მიერ განხორციელებული ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის თაობაზე, არც ერთ შემთხვევაში კვლევების შინაარსი - გამოვლენილი ტენდენციები, შედეგები, მიგნებები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები ანგარიშში ასახული არ არის. მაგალითად, ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია, რომ გაანალიზდა გამამართლებელი განაჩენების გამოტანის მიზეზები, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა გაზრდილია, რა გამოიკვეთა ანალიზის შედეგად არ არის მოცემული.



## 2.5. სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა

ანგარიშებში ყველაზე მწირი ინფორმაცია წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ანგარიშში არ არის არავითარი ინფორმაცია მოცემული პროკურატურის როლზე, რომელიც მას დაკისრებული აქვს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. კერძოდ, ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ:

- ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე პროკურატურის ზედამხედველობის შედეგები;
- თავისუფლებაადკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე პროკურატურის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგები;
- საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების დროს ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის შედეგები - ინფორმაცია გამომძიებლის ქმედებებთან დაკავშირებით განხილული საჩივრების შესახებ, ინფორმაცია კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად შეტანილი წარდგინების შესახებ, ინფორმაცია ადამიანის უფლებების შემზღუდავი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა და მათზე განხორციელებული ზედამხედველობის (მაგ.: დაკავებულის გათავისუფლების, გადაუდებლად ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების სასამართლოს მიერ უკანონოდ/კანონიერად ცნობის) შესახებ;
- ინფორმაცია ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის ქმედებებთან დაკავშირებით განხილული საჩივრების შესახებ.

ზოგადად, გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ არც ერთ ანგარიშში არ არის მითითებული საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში პროკურატურის მიერ საგამოძიებო ორგანოებში გამოძიების ჩატარების ხარისხის მიმართულებით იდენტიფიცირებული გამოწვევები/ხარვეზები. ერთადერთი საგამოძიებო უწყება, რომლის მიერ გამოძიების წარმოების ხარვეზებზე გენერალურმა პროკურორმა მითითა ანგარიშში იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც იძიებს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის დაახლოებით 1%-ს (ისიც მას

შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამ სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება).<sup>15</sup>

ასევე, გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ არც ერთ ანგარიშში არ არის მითითებული სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის პროცესში სასამართლოში არსებული გამოწვევების/დაბრკოლებების შესახებ. ანგარიშებში გამოწვევად მითითებულია მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სირთულეებზე, რომელიც გახანგრძლივებულ ვადებთან არის დაკავშირებული, თუმცა, არაფერია ნათქვამი სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებაზე (რაც აშკარაა ანგარიშებში მითითებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზით).

## 2.6. პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამები

ყველაზე სრულყოფილად ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების მიმართულებით გადამდგმული ნაბიჯებისა და განხორციელებული რეფორმების შესახებ.

ანგარიშებში მოცულობითი ნაწილი აქვს დათმობილი პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს. მაგალითად, 2022 წლის ანგარიშში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების შიდა რესურსის გამოყენებით და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარებული 135 აქტივობების თაობაზე.

## 3. სხვა ქვეყნების პრაქტიკა

ლიეტუვას გენერალური პროკურორი, რომელიც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული, პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშში მთავარ აქცენტს აკეთებს შემდეგზე - „ლიეტუვის მოქალაქეთა ნდობა“. გენერალური პროკურორის მთელი სიტყვა სწორედ ამ მიზანს ეხმიანება - ის განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროკურატურის თანამშრომლებს დაზარალებულების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის და ზრუნვისთვის; იმ დამატებითი ნებაყოფლობითი (და არა სავალდებულო) ძალისხმევებისთვის, რასაც ისინი დაზარალებულების მიმართ იჩენენ. მადლობას უხდის პროკურორებს, რომ ისინი ხალხის მსახურებას საპატიო მოვალეობად მიიჩნევენ და არა სახელმწიფოს მიერ მი-

15 იხ. საქართველოს პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 61-62, <https://pog.gov.ge/uploads/fbe6749f-13-maisi-angarishi.pdf>

ნიჭებულ პრივილეგიად. წინასიტყვაობის თანახმად, ანგარიშში მოცემული ციფრები, სტატისტიკა, ინდიკატორები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი გამოხატავენ ლიეტუველი ხალხის მსახურების გულწრფელ სურვილს. მთლიანი ანგარიში საინტერესოდ ეხმიანება წინასიტყვაობაში გაცხადებულ მიზანს - „ლიეტუვის მოქალაქეთა ნდობა“. კერძოდ, მოყვანილია მაჩვენებლები, რომლებიც პროკურატურის საქმიანობის მიმართ საზოგადოების ნდობის განმსაზღვრელია. მაგალითად: სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ცხადყოფს, რომ სასამართლო იშვიათად აუქმებს პროკურორების გადაწყვეტილებებს; სტატისტიკური მონაცემები, რაც მიუთითებს, რომ სააპელაციო და უზენაესი სასამართლო პროკურორის საჩივრის საფუძველზე ხშირად ცვლის გადაწყვეტილებებს. ამასთან, თვალშისაცემია პროკურატურისთვის არასასურველი სტატისტიკური მონაცემების ანგარიშში ასახვა (მაგ.: კორუფციის ზრდა, გამამართლებელი განაჩენები). ასევე, მოცემულია სტატისტიკური მონაცემების განმარტებები. მაგალითად, გამამართლებელი განაჩენების მიზეზად მითითებულია პროკურორისა და სასამართლოს მიერ დანაშაულის ელემენტის განსხვავებულად შეფასება. ასევე, მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული კატეგორიის საქმეების გამოძიების სირთულეების შესახებ.<sup>16</sup> სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია 2018 წლიდან.

ლატვიის პროკურატურის ანგარიში მეტწილად ორიენტირებულია საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მიღწევების წარმოჩენაზე. იგი მოიცავს ინფორმაციას პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების, ადამიანური რესურსების მართვის, პროკურორთა დატვირთვისა და შეფასების სისტემის, პროკურატურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების, სტატისტიკური/ანალიტიკური მოდულის შექმნის, გამოძიების ელექტრონული წარმოების პროგრამების მიმართულებით პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი პროკურატურის საქმიანობა სტრუქტურული და ტერიტორიული დანაყოფების, ასევე პრიორიტეტული დანაშაულების მიხედვით. 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები შედარებულია წინა 3 წლიან პერიოდთან.<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ ლატვიის აუდიტის სამსახურის 2021 წლის 11 იანვრის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები („საჭიროებს თუ არა ლატვიის პროკურატურის საქმიანობა გაუმჯობესებას“?) ლატვიის პროკურატურის წლიურ ანგარიშებს აფასებს როგორც არასაკმარისს. დოკუმენტის თანახმად, პარლამენტის რეგლამენტი არ აკონკრეტებს ანგარიშის განხილვის პროცედურებს, ასევე, ანგარიშები შეიცავს მხოლოდ რაოდენობრივ ინდიკატორებს ქვეყანაში დანაშაულის მდგომარეობაზე, პროკურატურის საქმიანობაზე და მოკლებულია პროკურატურის საქმიანობის ხარისხობრივ ანალიზს. აუ-

<sup>16</sup> იხ. ლიეტუვის პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, <https://www.prokuraturos.lt/data/public/uploads/2022/03/2021-m.-ataskaita-2022-03-01-nr.-17.9.-222803.21.pdf>

<sup>17</sup> იხ. ლატვიის პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, [https://prokuratura.lv/media/Normative\\_akti/Zinojums.pdf](https://prokuratura.lv/media/Normative_akti/Zinojums.pdf)

დიტის სამსახურის შეფასებით, ანგარიშში არაფერია ნათქვამი, მაგალითად, რა გავლენა აქვს პროკურატურის საქმიანობას დანაშაულის შემცირებაზე, რა ზომების მიღებას გეგმავს პროკურატურა გამოძიების და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანობისა და ხარისხის გასაზრდელად.<sup>18</sup>

შვეიცარიის კანონმდებლობით, გენერალური პროკურორის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შიდა ორგანიზაციის, ზოგადი ინსტრუქციების, დასრულებული და მიმდინარე საქმეების რაოდენობისა და სახეების, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების, პროკურატურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საჩივრების რაოდენობისა და მათი განხილვის შედეგების შესახებ.<sup>19</sup> შვეიცარიის გენერალური პროკურორის 2021 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროკურატურის მანდატის (იურისდიქციის), საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეების, თითოეულ სამართალდამცავ უწყებასთან თანამშრომლობის, ცალკეული დანაყოფის საქმიანობის, სხვადასხვა მიმართულებით პროკურატურის საქმიანობის პროგრესის, ბიუჯეტის ხარჯვისა და შესყიდვების, ადამიანური რესურსების, თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის მიგნებების, ასევე სტატისტიკური მონაცემების (ყველა სტატისტიკური მონაცემი წარმოდგენილია 2017 წლიდან) შესახებ.<sup>20</sup>

ავსტრალიის პროკურატურის ანგარიშში<sup>21</sup> თვალშისაცემია ფუნქციების მკაფიო გამოიჯნა პროკურატურასა და საგამოძიებო უწყებებს შორის. ასევე, ავსტრალიის პროკურატურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორი უწყებების კმაყოფილებას პროკურატურის საქმიანობით და ამ მიზნით ორ წელიწადში ერთხელ ატარებს ანონიმურ კვლევას. ანგარიშში მოცემულია პარტნიორი უწყებების კმაყოფილების მაჩვენებელი. ცალკე თავად არის წარმოდგენილი პროკურატურის საქმიანობის შეფასების ინდიკატორები. ანგარიში გამორჩეულია დეტალური ფინანსური ანგარიშებით. სხვა ანგარიშებისგან განსხვავებით, ავსტრალიის პროკურატურის ანგარიშში ხაზგასმულია ინკლუზიურობა და თანამშრომელთა ჯანმრთელობა, როგორც თანამშრომელთა კეთილდღეობის კომპონენტი.<sup>22</sup>

კანადის პროკურატურის ანგარიშის პირველივე გვერდზეა გამოტანილი პროკურატურის მისია - ფედერალური დანაშაულების დევნა და კანადელების დაცვა. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას პროკურორის როლის, პროკურატურის

18 იხ. ლატვიის აუდიტის სამსახურის დასკვნა, <https://www.lrvk.gov.lv/en/news/the-state-audit-office-concludes-that-a-better-organised-work-of-the-prosecutors-office-would-improve-the-quality>

19 იხ. სისხლის სამართლის ორგანოების აქტი (Criminal Justice Authorities Act – CJA), მუხლი 17, [https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/2010/444/de#art\\_7](https://www.fedlex.admin.ch/eli/cc/2010/444/de#art_7)

20 იხ. შვეიცარიის პროკურატურის 2021 წლის ანგარიში, <https://www.bundesanwaltschaft.ch/mpc/en/home/taetigkeitsberichte/taetigkeitsberichte-der-ba.html>

21 <https://www.cdpp.gov.au/system/files/CDPP%20Annual%20Report%202021-22.pdf>

22 იხ. ავსტრალიის პროკურატურის 2021-2022 წლების საქმიანობის ანგარიში, <https://www.cdpp.gov.au/system/files/CDPP%20Annual%20Report%202021-22.pdf>

ორგანიზაციული პრიორიტეტების, სტრუქტურის, პროკურატურის პოლიტიკის, ცალკეული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ფინანსების, რეგიონული ოფისების საქმიანობის, ადამიანური რესურსების, სამუშაო გარემოს შესახებ. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია პრიორიტეტული სისხლის სამართლის საქმეები.<sup>23</sup>

ინგლისის და უელსის პროკურატურის საქმიანობის ანგარიშის შესავალში პროკურატურის სტრატეგიული პრიორიტეტებია წარმოდგენილი - „ჩვენი ხალხი, ციფრული შესაძლებლობები, სტრატეგიული პარტნიორობა, საქმიანობის ხარისხი, საზოგადოების ნდობა“. ხაზგასმულია საანგარიშო პერიოდის მიღწევები. აღნიშნულ პროკურატურას, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტად აქვს პრიორიტეტად საზოგადოებრივი ნდობა დასახული. საზოგადოების ნდობის მიმართულებით განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის საქმეებზე. კერძოდ, პროკურატურის განცხადებით, საზოგადოების ნდობისთვის და ხალხის მიერ პროკურატურის მნიშვნელობის სათანადოდ გასაგებად, უმნიშვნელოვანესია პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნათლად ახსნა. აქვე, პროკურატურა აცხადებს, რომ ეს ვერ იქნება ცალმხრივი. ამიტომ, საანგარიშო პერიოდში გააქტიურდა საზოგადოების ჩართულობის არხები, რათა მოსმენილი იყვნენ შესაბამისი აქტორები, მათი წუხილები, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც ბაზისი პროკურატურის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ანგარიშში დიდი ადგილი ეთმობა დაზარალებულთა კმაყოფილებას პროკურატურის საქმიანობით (წარმოდგენილია მონაცემები რამდენად კმაყოფილია ხალხი პროკურატურის მიერ დანაშაულის ჩამდენთა მიმართ დევნის დაწყების ეფექტიანობით). სხვა ანგარიშებისგან განსხვავებით, ცალკეა წარმოდგენილი ღირებულებები. ტრადიციული ღირებულებების გარდა, აღსანიშნავია აქცენტი იმ პასუხისმგებლობაზე, რაც პროკურატურას აკისრია „გადასახადის გადამხდელთა ფულის ხარჯვისას“. ასევე, ხაზგასმითაა აღნიშნული სისტემების დაცულობა, როგორც პროკურატურისადმი საზოგადოების ნდობის განმსაზღვრელი. ინგლისისა და უელსის პროკურატურის ანგარიშში სხვა ანგარიშებისგან გამოირჩევა იმითაც, რომ ცალკეული თავი დასათაურებულია ერთგვარი სლოგანებით (მაგალითად: „ჩვენს ხალხს აქვს უნარები და ინსტრუმენტები წარმატებისთვის“, „ჩვენი ხალხი ხელმძღვანელობს ჩვენი ღირებულებებით“, „ჩვენ გვაქვს ჩვენი უსაფრთხოების სისტემების ნდობა“ და ა.შ.). ინგლისისა და უელსის პროკურატურის ანგარიშში გამორჩეულია სტატისტიკური მონაცემების წარმომჩენის კუთხითაც. სტატისტიკური მონაცემები გადმოცემულია არა მშრალად, არამედ საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვის ქრილში. მაგალითად დროულად მიღებული ბრალდების გადაწყვეტილებები, დროულად შესრულებული მოსამართლის ღირექტივები, ბრალზე გარიგება პირველივე

23 იხ. კანადის პროკურატურის 2021-2022 წლების ანგარიში, [https://www.ppsc.gc.ca/eng/pub/ara/2021\\_2022/ra22-ra22.pdf](https://www.ppsc.gc.ca/eng/pub/ara/2021_2022/ra22-ra22.pdf)



მოსმენაზე. ასევე, წარმოდგენილია სტატისტიკის მეთოდოლოგია. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინკლუზიას და საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიას. პროკურატურის განცხადებით, უწყებამ შეიმუშავა საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. აღნიშნული მოიცავს საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ეროვნულ ფორუმს, საგარეო საკონსულტაციო ჯგუფებს, ადგილობრივი ჩართულობის პანელებს, საზოგადოებრივ დისკუსიებს, რომელიც წარიმართება პროკურორების მიერ. აღნიშნული მექანიზმები პროკურატურას ეხმარება უშუალოდ საზოგადოებისგან მოისმინოს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები და გაითვალისწინოს ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანგარიშის თანახმად, წლების განმავლობაში პროკურატურამ განახორციელა სხვადასხვა პროგრამა პარლამენტარებისთვის პროკურატურის როლის და ფუნქციების და პროკურატურის პრიორიტეტების ასახსნელად (პროკურატურას აქვს პარლამენტარებისთვის რჩევის მიცემის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, რათა ნებისმიერი ცვლილება ემსახურებოდეს საქმეთა ეფექტიანად გამოძიების მიზანს). ხაზია გასმული მთავრობისაგან და პოლიციისგან გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებლობაზე („ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ სამართლიანები, ობიექტურები და მიუკერძოებლები, რათა უზრუნველვყოთ სამართალი დაზარალებულებისთვის, მოწმეებისთვის, ბრალდებულებისთვის და საზოგადოებისთვის.“). ანგარიშში გარკვეული ადგილი ეთმობა ასევე სამუშაო გარემოს, თანამშრომელთა კეთილდღეობას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, თანამშრომელთა აყვანას სამსახურში და მათი კმაყოფილების კვლევას. სხვა ანგარიშების მსგავსად, პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული გაციფრულება, მდგრადობა, თანასწორობა, მრავალფეროვნება (სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური, შშმ ნიშნით) და ინკლუზია. ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ფინანსური ანგარიშგება, ხელფასების ჩათვლით. სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია 2017 წლიდან).<sup>24</sup>

## 4. პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების პარლამენტში განხილვა

საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ 2019-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები საქართველოს პარლამენტს არ განუხილავს. შესაბამისად, ანგარიშების საფუძველზე საქართველოს პარლამენტს არ შეუ-

24 იხ. ინგლისისა და უელსის პროკურატურის 2021-2022 წლების ანგარიში, [https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/CPS%20Annual%20Report%20and%20Accounts%202021-22\\_2.pdf](https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/CPS%20Annual%20Report%20and%20Accounts%202021-22_2.pdf)

ფასებია დადგენილებით პროკურატურის საქმიანობა, არ გაუცია დავალებები და რეკომენდაციები.

საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ მიღებული იქნა მხოლოდ გადაწყვეტილებები განხილვის პროცედურების დაწყების თაობაზე, სხდომებზე, სადაც განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი (იურიდიული კომიტეტი) და სავალდებულო კომიტეტი (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი), ასევე, კომიტეტებზე და პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღები, თუმცა, მათი განხილვა არ მომხდარა.

კერძოდ, 2019 წელს საქართველოს პარლამენტის ბიურომ პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა გადადო რამდენჯერმე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარდგინების საფუძველზე და განხილვის თარიღი განსაზღვრა ხუთჯერ (მაისში, ივნისში, სექტემბერში, ოქტომბერში და ნოემბერში). ანგარიშის განხილვის გადადების მოთხოვნის მიზეზად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მითითებულია ობიექტური მიზეზი, თუმცა არ არის დასახელებული ეს მიზეზი (წერილში შაბლონურად არის მითითებული, რომ „ობიექტურ მიზეზთა გამო მითითებულ ვადაში ვერ ხერხდება საკითხის განხილვა“).<sup>25</sup>

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა გადადო ორჯერ, კვლავ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარდგინების საფუძველზე. ანგარიშის განხილვის გადადების მიზეზად იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ერთ შემთხვევაში მითითებული იქნა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და პანდემიით შექმნილი ვითარება, ხოლო მეორე შემთხვევაში „ობიექტური მიზეზი“, რომელიც კვლავ არ არის დასახელებული.<sup>26</sup>

რაც შეეხება პარლამენტის მიერ 2021 და 2022 წლებში საქართველოს პროკურატურის მიერ წინა წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვას, საქართველოს პარლამენტის ბიუროს ორივე შემთხვევაში მაისის თვეში (პროკურატურის მიერ ანგარიშის წარდგენისთანავე) განსაზღვრული აქვს მისი განხილვის თარიღი, რომლის შემდგომ არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება ანგარიშის განხილვის გადადების შესახებ. არ ფიქსირდება არც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარდგინება ბიუროს მიმართ სხდომის თარიღის გადადების შესახებ და არც საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადა-

25 იხ. პროკურატურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში წარმოებული დოკუმენტაცია: <https://parliament.ge/legislation/18102>

26 იხ. პროკურატურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში წარმოებული დოკუმენტაცია: <https://parliament.ge/legislation/20379>

## წყვეტილებები.<sup>27</sup>

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშის განუხილველად დატოვების პარალელურად, აღსანიშნავია, რომ 2019-2022 წლებში საქართველოს პარლამენტში გაიმართა არაერთი უწყების საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა (სულ განხილული იქნა 42 ანგარიში). მათ შორის, საქართველოს პარლამენტმა თითქმის ყველა წელს განიხილა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში, სახალხო დამცველის ანგარიში, ეროვნული ბანკის ანგარიში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ანგარიშების განხილვის პროცესში ზეპირი მოსმენით წარდგენ ზემოთ აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელები. ასევე, საქართველოს პარლამენტის წინაშე თითქმის ყველა წელს (2020 წლის გარდა) წარსდგა შინაგან საქმეთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი.<sup>28</sup>

---

27 იხ. პროკურატურის მიერ 2020 და 2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში წარმოებული დოკუმენტაცია: <https://parliament.ge/legislation/22041>, <https://parliament.ge/legislation/24158>

28 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა განიხილა შემდეგი უწყებების 2018 წლის საქმიანობის ანგარიშები: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახალხო დამცველის, ჰერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის, ეროვნული ბანკის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საპენსიო სააგენტოს ანგარიშები და ასევე, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.


2020 წელს საქართველოს პარლამენტმა განიხილა შემდეგი უწყებების 2019 წლის საქმიანობის ანგარიშები: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, სახალხო დამცველის, საქართველოს ეროვნული ბანკის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიშები, ასევე, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2021 წელს საქართველოს პარლამენტმა განიხილა შემდეგი უწყებების 2020 წლის საქმიანობის ანგარიშები: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახალხო დამცველის, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშები, ასევე, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

2022 წელს საქართველოს პარლამენტმა განიხილა შემდეგი უწყებების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშები: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახალხო დამცველის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საპენსიო სააგენტოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, შრომის ინსპექციის სამსახურის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშები. ასევე, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და ანგარიში სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამასთან, მოისმინა რამდენიმე უწყების (იურიდიული დახმარების სამსახურის, საპენსიო სააგენტოს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) 2020 წლის საქმიანობის ანგარიშებიც.



### საქართველოს პარლამენტის მიერ გენილუი ანგარიშების რაოდენობა




ასევე, 2019-2022 წლებში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 153-ე მუხლის შესაბამისად, მინისტრის საათის ფორმატში 2019, 2021, 2022 წლებში საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მოხსენებებით წარდგენენ როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს გენერალური პროკურორი არის გამონაკლისი, რომლის მიერ წარდგენილი ანგარიში საქართველოს პარლამენტს 2019-2022 წლებში არც ერთხელ განუხილავს და არ გამოუცია არანაირი დოკუმენტი გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

## 5. პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილობითი კითხვები


2019-2022 წლებში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი იქნა 61 წერილობითი კითხვა.

**საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილების რაოდენობა**




2019-2022 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი 61 წერილობითი კითხვის ყველაზე მეტი რაოდენობა გაგზავნილი იქნა პოლიტიკური ჯგუფი „გირჩისა“ და პარლამენტის უფრაქციო წევრების მიერ.

**პროკურატურაში გაგზავნილი წერილების რაოდენობა პოლიტიკური ჯგუფების მიხედვით**




რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრებს, ყველაზე მეტი წერილობითი კითხვით პროკურატურას მიმართა იაგო ხვიჩიამ (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), მიხეილ სარჯვლაძემ (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“) და ანა ნაცვლიშვილმა (პოლიტიკური პარტია „ლელო“).

### პროექტურები გაგზავნილი წერილობითი კითხვების ავტორები



რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილ 61 წერილობითი კითხვის შინაარსს, მათი 54% შეეხება სტატისტიკური მონაცემების, ხოლო 37% - კონკრეტულ ფაქტებზე (გამოძიების დაწყების, გამოძიების მიმდინარეობის ან/და შედეგების შესახებ) ინფორმაციის გამოთხოვას.

### პარლამენტის წევრების მიერ პროკურატურაში გაგზავნილი წერილობითი კითხვების შინაარსი



სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული შეკითხვები ძირითადად შეეხება შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლ(ებ)ზე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება (მათ შორის, დაკავებულ პირთა რაოდენობა), სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული საქმეების მაჩვენებელი, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული მონაცემები (შუამდგომლობებისა და სასამართლოს მიერ გაცემული განჩინებების რაოდენობა), ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობების რაოდენობა, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურაში შესული საჩივრების შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პარლამენტის წევრთა მიერ პროკურატურიდან გამოსთხოვილია ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა შეგროვება/წარმოება არის არა პროკურატურის, არამედ სხვა უწყების კომპეტენცია (მაგალითად, პროკურატურიდან გამოსთხოვილია ინფორმაცია მსჯავრდებულ პირთა რაოდენობისა და სასამართლოს მიერ სხვადასხვა საკითხზე გამოტანილი განჩინებების შესახებ (რაზეც სტატისტიკურ ინფორმაციას აღრიცხავს სასამართლო), გამოძიების დაწყების მაჩვენებლისა და დაკავებული პირების რაოდენობის შესახებ (რომლებზეც ინფორმაციას აღრიცხავს


შინაგან საქმეთა სამინისტრო)). პროკურატურაში პარლამენტის წევრთა მიერ სტატისტიკური მონაცემების მიწოდების მოთხოვნით გაგზავნილი წერილების 24% შეეხებოდა სხვა უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ მონაცემებს.

რაც შეეხება ფინანსური რესურსების ხარჯვის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას, ისინი შეეხებოდა თანამდებობის პირების სამიწვლინებო ხარჯებს და პროკურატურის სოციალური გვერდების კონტენტის დასპონსორებისათვის გამოყენებულ თანხებს.

## 6. სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე პარლამენტის მიერ პროკურატურის მიმართ გაცემული დაკავშირებული

ერთადერთი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პარლამენტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პროკურატურის მიმართ ყოველწლიურად გასცემდა დავალებებს, იყო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის შედეგად გაცემული დავალებები. სწორედ სახალხო დამცველის ანგარიშების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 4 დადგენილება (2019 წლის 20 სექტემბერს, 2020 წლის 29 ივნისს, 2021 წლის 12 ივლისს, 2022 წლის 18 ოქტომბერს), რომელთა თანახმად, პროკურატურის მიმართ გაცა 60 დავალება.

**პარლამენტის მიერ, სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე, პროკურატურის მიმართ გაცემული დაკავშირებული დაკავშირებული რაოდენობა**



საქართველოს პარლამენტს ბოლო სამი წელია არ შეუფასებია საქართველოს პარლამენტის მიერ 2020-2022 წლებში მიღებული დადგენილებებით საქართველოს პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების

მდგომარეობა. საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შეფასებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს პროკურატურის მიმართ გაცემული 23 დავალების შესრულების მდგომარეობა, რომელთა შესრულების მაჩვენებელი დაბალია (შეფასების დროისთვის მხოლოდ 9 მათგანი (39%) იყო შესრულებული, ხოლო, 14 იყო შესრულების პროცესში).<sup>29</sup>

რაც შეეხება გაცემული დავალებების შინაარსს:

- 13 მათგანი ეხებოდა კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების (გამოძიების, მათზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის) შესახებ ინფორმაციის პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახვას;
- 12 - კონკრეტული/ინდივიდუალური სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროგრესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას;
- 7 - კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების გამოძიების პროგრესის ან/და მათზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას;
- 6 - კონკრეტული კატეგორიის (ან ინდივიდუალურ) სისხლის სამართლის საქმე(ებ)ზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ სახალხო დამცველის ინფორმირებას;
- 5 – კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას (მათ შორის, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას);
- 4 - კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში დადგენილი სამსახურებრივი გადაცდომის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას;
- 3 - კონკრეტული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას;
- 3 - კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეების/სტატისტიკის ანალიზს ან/და სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოებას;
- 2 - კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებზე გარკვეული გარემოებ(ებ)ის საფუძვლიანად გამოძიებას;
- 1 - კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას და

<sup>29</sup> საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 23 მაისს №3783/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.



მათზე ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის განხორციელებას;

- 1 - კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ პარლამენტისთვის დეტალური ინფორმაციის წარდგენას;
- 1 - კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებზე პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებას;
- 1 - პროკურორთა და გამოძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;
- 1 - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას.

საქართველოს პარლამენტის მიერ პროკურატურის მიმართ გაცემულ დავალებებში (თითქმის ყველა წელს), განსაკუთრებული აქცენტი არის გაკეთებული შემდეგი კატეგორიის დანაშაულებზე: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, სიცოცხლის უფლების ხელყოფა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დანაშაულები, ქალთა მიმართ ძალადობა, არასათანადო მოპყრობა. გაცემული დავალებების უმეტესი ნაწილი ეხება სწორედ ამ კატეგორიის დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას, მათ ანალიზს, მათთან დაკავშირებით სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, მათი გამოძიების შესახებ საზოგადოებისა და სახალხო დამცველის ინფორმირებას.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია საქართველოს პარლამენტის დადგენილებებში ასახული დავალებების ფორმულირება. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2019 და 2020 წლების დადგენილებებში დავალებების ნაწილი ეხება საქართველოს პარლამენტისთვის კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ან/და კონკრეტული კატეგორიის დანაშაულების გამოძიების მიმდინარეობის/ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (მაშინ როცა, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის თანახმად, პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში არ უნდა შეიცავდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, გენერალურ პროკურორს, მის პირველ მოადგილეს ან მოადგილეს საქართველოს პარლამენტში არ შეიძლება დაუსვან კითხვა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე). 2021 და 2022 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებებში დავალებების ფორმულირებები არის გაცილებით ფრთხილი და არ ეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშის მოთხოვნას.

## **მაგალითად:**

საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებული დადგენილება - „საქართველოს პროკურატურამ ახალი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედების საქმეებზე მიმდინარე გამოძიებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ.“

საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებული დადგენილება - „საქართველოს პროკურატურამ წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია 2012-2014 წლებში სოფელ სამთაწყაროში მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების საქმეებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.“

საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 29 ივნისს მიღებული დადგენილება - „საქართველოს პროკურატურამ პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში ასახოს ინფორმაცია 2018 და 2019 წლებში, საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედების ფაქტის გამოძიების მიმდინარეობისა და გაწეული საქმიანობის შესახებ.“

საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 12 ივლისს მიღებული დადგენილება - „საქართველოს პროკურატურამ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში (ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს) ასახოს ინფორმაცია 2018, 2019 და 2020 წლებში საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე.“

საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის 18 ოქტომბერს მიღებული დადგენილება - „საქართველოს პროკურატურამ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში (ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს) ასახოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის აღკვეთის მიზნით წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე.“

## 7. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ინტერვიუების შედეგები

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, სახალხო დამცველის, არასამთავრობო სექტორისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დღეის მდგომარეობით პროკურატურაზე საპარლამენტო ზედამხედველობა არ ხორციელდება და პროკურატურის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება სრულად მოშლილია. რესპონდენტთა აზრით, იმ პირობებში, როცა პროკურატურის ანგარიში არ განხილულა არც კომიტეტების, არც პლენარულ სხდომაზე და არ გამოცემულა დადგენილება პროკურატურის საქმიანობის შეფასების შესახებ, საპარლამენტო კონტროლზე საუბარი ზედმეტია. ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლისთვის დეპუტატებს უნდა ჰქონდეთ გენერალური პროკურორისთვის (რომელიც პასუხისმგებელია პროკურატურის საქმიანობაზე) კითხვის დასმისა და მისგან პასუხების მოსმენის შესაძლებლობა. პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენა, საპარლამენტო ზედამხედველობის გარდა, საზოგადოების ინფორმირების მიზანსაც ემსახურება. დღეს ეს მექანიზმი არ მუშაობს.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა ნაწილმა აღნიშნა ისიც, რომ მიუხედავად იმისა რომ მათ ბიუროსა და კომიტეტების სხდომებზე დაუსვამთ საკითხი გენერალური პროკურორის პარლამენტში მოსმენის შესახებ, ოპოზიციის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის საკმარისი წნეხი/აქტიურობა, რომელიც პოლიტიკურ ფასს დაადებდა გენერალური პროკურორის პარლამენტში მიუსვლელობას. მათივე განმარტებით, სადეპუტატო კითხვებს პროკურატურა კანონით დადგენილ ვადაში სცემს პასუხს, თუმცა, პასუხები შინაარსისგან დაცლილია და არ ეხმიანება (ან სრულყოფილად არ პასუხობს) დასმულ შეკითხვას. ასევე, საპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს ბერკეტი გენერალური პროკურორი დაიბაროს პარლამენტში, რომლის საჭიროება აშკარაა საქართველოს პარლამენტის მხრიდან გენერალური პროკურორის ანგარიშების წლების განმავლობაში განუხილველობის ფონზე. აღინიშნა ისიც, რომ საჭიროა საქართველოს პარლამენტის წევრთა ინფორმირებულობის გაზრდა პროკურატურის საქმიანობასთან და ამ უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ისინი არის დეკლარაციული ხასიათის და შინაარსისგან დაცლილი. არ არის მოცემული ინფორმაცია გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევების შესახებ. პროკურატურა არასოდეს საუბრობს სისტემაში არსებულ ხარვეზებზე, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად. ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს პროკურატურის საქმიანობის მიმართულელებს სრულყოფილად. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ანგარიშში მოცე-

მულია ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა წარმოება საერთოდ არ წარმოადგენს პროკურატურის კომპეტენციას და შესაბამისად, ასახავს არა პროკურატურის, არამედ სხვა უწყების (მაგალითად, სასამართლოს, საგამოძიებო უწყების) საქმიანობას. ამასთან, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ასევე გამოტანილი განაჩენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ არის საკმარისი იმის შესაფასებლად, რა ვითარებაა კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით (მაგალითად, რომელ რეგიონშია გავრცელებული, როგორია მათი ჩადენის ხერხი და ა.შ.). ანგარიშში ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია ფინანსური სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით, მაშინ როცა საზოგადოებაში მაღალი საჯარო ინტერესია პროკურატურის მიერ დახარჯული (მათ შორის, თანამშრომელთა ხელფასების, პრემიებისა და დანამატების მიზნით გამოყენებული) თანხის ოდენობის მიმართ (ამ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელსაც დაკისრებული აქვს პროკურატურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვაზე კონტროლი, საქართველოს პროკურატურაში აუდიტი არ ჩატარებია 2019-2022 წლებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2023 წლის გეგმის თანახმად, პროკურატურაში აუდიტის ჩატარება დაგეგმილია 2023 წელს).<sup>30</sup>

რესპონდენტთა აზრით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში უნდა გაკეთდეს მკაფიო ჩანაწერი გენერალური პროკურორის ანგარიშის კომიტეტებისა და პლენარულ სხდომებზე სავალდებულო მოსმენის შესახებ. ასევე, კანონმდებლობით უნდა გაფართოვდეს იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა მოიცავდეს ანგარიში.

30 იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2023 წლის გეგმა, <https://sao.ge/Uploads/2023/2/2023%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>

## V.

# საქართველოს

# პროკურატურის

# ანგარიშვალდებულება

# საპროკურორო საბჭოს წინაშე

საპროკურორო საბჭო კოლეგიური ორგანოა, რომლის მიზანია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებებია: ა) გენერალური პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება; ბ) გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება; გ) საპროკურორო საბჭოს პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი წევრების მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, სახდელის ვადამდე მოხსნის საკითხის გადაწყვეტა; დ) პროკურატურის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურორის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ანგარიშის მოსმენა და მის საფუძველზე გენერალური პროკურორისთვის წარსადგენი რეკომენდაციების შემუშავება; ე) სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობის რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა; ზ) საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

# 1. საპროკურორო საბჭოს საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება

საპროკურორო საბჭოს საქმიანობა რეგულირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საპროკურორო საბჭოს მიერ მიღებული საპროკურორო საბჭოს დებულებებით.

საპროკურორო საბჭოს შექმნის მიზნებს, მისი წევრების ოდენობას და თავმჯდომარის არჩევის წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად, საპროკურორო საბჭოს მიზნებია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. იგი შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს თავმჯდომარეობს საპროკურორო საბჭოს წევრთაგან 2 წლის ვადით არჩეული პირი.<sup>31</sup>

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს შემადგენლობას, მისი წევრების არჩევის წესებს და მათი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებს, საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებას, საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის საქმიანობის შესახებ წარსადგენი ანგარიშის რეკვიზიტებს და საპროკურორო საბჭოს მუშაობის ზოგად საკითხებს.<sup>32</sup>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გაწერილია საპროკურორო საბჭოს წევრების პარლამენტის მიერ არჩევის წესი.<sup>33</sup>

საპროკურორო საბჭოს დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2019 წლის 16 იანვარს საპროკურორო საბჭოს განკარგულებით, იმეორებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განმტკიცებული დებულებების დიდ ნაწილს საპროკურორო საბჭოს საქმიანობის შესახებ და ამავდროულად, უფრო დეტალურად არეგულირებს შემდეგ საკითხებს: საპროკურორო საბჭოს სხდომის მოწვევის საორგანიზაციო საკითხები, სხდომის ჩატარების ადგილი და ვადები, საპროკურორო საბჭოს სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობის წესები.<sup>34</sup>

31 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

32 იხ. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლები: 15-16, 19-20, 76, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=9>

33 იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 207, <https://parliament.ge/legislation/reglament>

34 იხ. საპროკურორო საბჭოს დებულება, <http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnews%2F%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20.pdf>



## 2. საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი და შემაჯავებლობა

საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად და საბჭოს ეფექტიანი მუშაობისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი და საპროკურორო საბჭოს წევრთა გამოცდილება.

საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრს (უმრავლესობას) ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია, 5 წევრს - საქართველოს პარლამენტი, ხოლო 2 წევრს - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საპროკურორო საბჭოზე საპროკურორო საბჭოს წევრად კენჭი ეყრება პროკურატურის მხოლოდ იმ თანამშრომელს (პროკურორს, გამომძიებელს), რომელსაც წარადგენს 30 წევრისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფს ქმნიან საქართველოს პროკურორთა კონფერენციის წევრები (პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები). ერთ საინიციატივო ჯგუფს აქვს მხოლოდ 2 კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება.

საქართველოს პროკურატურის სისტემაში არა ერთ რაიონულ პროკურატურაში, ასევე საოლქო პროკურატურებისა და გენერალური პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების აბსოლუტურ უმრავლესობაში, პროკურორთა და გამომძიებელთა ჯამური რაოდენობა 30-ზე ნაკლებია. შესაბამისად, საბჭოს წევრობის კანდიდატად საკუთარი კანდიდატის დაყენების მიზნით, რიგითმა პროკურორმა/გამომძიებელმა საინიციატივო ჯგუფის შესაქმნელად ან/და უკვე არსებული ჯგუფის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კომუნიკაცია უნდა დაამყაროს სხვა სტრუქტურული დანაყოფების პროკურორებთან და გამომძიებლებთან (რეგიონების შემთხვევაში, სხვა რეგიონში არსებული სტრუქტურული დანაყოფების თანამშრომლებთან). მკაცრად იერარქიულ სისტემაში, როგორც პროკურატურის სისტემაა, რიგითი პროკურორის მიერ საინიციატივო ჯგუფის შექმნა ან/და მისი მხარდაჭერის მოპოვება, მენეჯმენტის ჩართულობის/დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. მენეჯმენტის ჩართულობის გარეშე ასეთი კოორდინაციის შესაძლებლობის შემთხვევაშიც რთულია რიგითი (მით უფრო, რეგიონში დასაქმებული) პროკურორისთვის/პროკურატურის გამომძიებლისთვის 30 ისეთი პირის მოძიება, რომლებიც იცნობენ მის პროფესიულ საქმიანობას და ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას მისი პროფესიონალიზმის/კვალიფიკაციის შესახებ. ასეთი ცნობადობის გარეშე, საინიციატივო ჯგუფი ცხადია არ წარადგენს (არ უნდა წარადგინოს) კანდიდატს ასეთ მნიშვნელოვან პოზიციაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს საინიციატივო

ჯგუფების ფორმირების, პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის მიერ საინიციატივო ჯგუფის წევრთა ნდობის/მხარდაჭერის მოპოვების მარეგულირებელი დეტალური წესები/პროცედურები.

საქართველოს პროკურატურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, პროკურატურაში დასაქმებულია 419 პროკურორი და 81 - გამომძიებელი (საპროკურორო საბჭოს არჩევნებში ხმის უფლების მქონე 500 პირი). ეს რაოდენობა ქმნის მაქსიმუმ 16 საინიციატივო ჯგუფის ფორმირებისა და საპროკურორო საბჭოს წევრობის მაქსიმუმ 32 კანდიდატის წარდგენის შესაძლებლობას. შესაბამისად, 468 პროკურორს და გამომძიებელს უზღუდება, საპროკურორო საბჭოს წევრობაზე მათი კანდიდატის თავისუფლად და დაუბრკოლებლად წარდგენის შესაძლებლობა.

ვინაიდან საპროკურორო საბჭოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი წევრების არჩევის ამჟამად არსებული მოდელი პროკურორებს და პროკურატურის გამომძიებლებს არ აძლევს საპროკურორო საბჭოში მენეჯმენტის ჩართულობის/დახმარების გარეშე არჩევის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ აჩენს მენეჯმენტის მიერ საპროკურორო საბჭოს მათთვის სასურველი პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი წევრებისაგან დაკომპლექტების რეალურ შესაძლებლობას, საჭიროა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების განხორციელება, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდება საინიციატივო ჯგუფის წევრთა რაოდენობა (და იგი მორგებული იქნება პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების სამტატო რაოდენობაზე) ან რომლითაც შესაძლებელი იქნება პროკურორის/გამომძიებლის მიერ საპროკურორო საბჭოს წევრად საკუთარი კანდიდატურის საინიციატივო ჯგუფის გარეშე დაყენების შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დგება საპროკურორო საბჭოს ლეგიტიმაცია და სრულად ეცლება შინაარსი საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის ანგარიშვალდებულებას. საპროკურორო საბჭოს პროკურორ/პროკურატურის გამომძიებელ წევრებს, გენერალური პროკურორის დაქვემდებარებისა და გენერალური პროკურორის უფლებამოსილებების (მათ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი) მხედველობაში მიღებით, ისედაც დიდი ბარიერი აქვთ დააფიქსირონ მათი აზრი საპროკურორო საბჭოს სხდომაზე და თამამად დასვან შეკითხვები (რაც ძალიან აშკარად ჩანს საპროკურორო საბჭოს სხდომების აუდიო-ვიდეოჩანაწერებში).

საპროკურორო საბჭოს მოსამართლე წევრებს ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის მიმართ არსებული კითხვის ნიშნები, მნიშვნელოვან კორუფციაში მონაწილეობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ - ლევან მურუსიძის სანქცირება, საქართველოს პარლამენტის მიერ ვენეციის კომისიის მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებასთან დაკავშირ-

რებით გაცემული დასკვნების უგულვებელყოფა, ნეგატიურად აისახება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ საპროკურორო საბჭოს წევრთა ლეგიტიმაციაზე. კიდევ უფრო ამძიმებს სურათს ის ფაქტი, რომ საპროკურორო საბჭოში წარმოდგენილი ერთი მოსამართლე წევრი ირაკლი შენგელია, 2023 წლის აპრილში სანქცირებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მნიშვნელოვან კორუფციაში მონაწილეობის გამო.<sup>35</sup>

საპროკურორო საბჭოს 5 წევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. დღეის მდგომარეობით საპროკურორო საბჭოში წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული შემდეგი პირები:

- პარლამენტის 2 წევრი: ანრი ოხანაშვილი - იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი) და იაგო ხვიჩია - საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი (პარტია „გირჩი“). იაგო ხვიჩიასთან ერთად, საპროკურორო საბჭოს წევრობაზე წარდგენილი იყვნენ სხვა კანდიდატებიც (ანა ნაცვლიშვილი, პაატა მანჯგალაძე);
- ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (ლილი გელაშვილი) - იგი საპროკურორო საბჭოს წევრად წარადგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა. როგორც საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით<sup>36</sup> დგინდება, მასთან ერთად არ ყოფილა წარდგენილი სხვა კანდიდატი;<sup>37</sup>
- ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით (თეა ჭეიშვილი) - იგი საპროკურორო საბჭოს წევრად წარადგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ. როგორც საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით<sup>38</sup> დგინდება, მასთან ერთად არ ყოფილა წარდგენილი სხვა კანდიდატი;<sup>39</sup>
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (რევაზ მიქაბერიძე) - იგი საპროკურორო საბჭოს წევრად წარადგინა სამმა არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა, თუმცა, კანონმდებლობით წარდგენისთვის

35 იხ. ინფორმაცია ირაკლი შენგელიას სანქცირების შესახებ, <https://www.facebook.com/watch/?v=915844926287616>

36 საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 22 მაისს, №3759/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

37 იხ. ინფორმაცია ლილი გელაშვილის არჩევის შესახებ, <https://xnews.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%90/>

38 საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 22 მაისს, №3759/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

39 იხ. თეა ჭეიშვილის საპროკურორო საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებული დოკუმენტები, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/246366>

საჭირო გამოცდილება დაუდასტურდა მხოლოდ ერთ მათგანს - ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების საზოგადოებას“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ სამართალწარმოებაში. როგორც საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით<sup>40</sup> დგინდება, რევაზ მიქაბერიძესთან ერთად კიდევ იყო წარდგენილი სამი კანდიდატი სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, რომელთაგან ორი ვერ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ერთმა (რომელიც სრულად აკმაყოფილებდა კანდიდატისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს) კანდიდატურა მოხსნა.<sup>41</sup> აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების საზოგადოება“ (რომელიც რეგისტრირებულია 2015 წელს)<sup>42</sup> არ არის აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია. ინტერნეტში არ იძებნება არც ორგანიზაციის ვებგვერდი, არც Facebook გვერდი და არც რაიმე აქტივობა, რომელსაც ეს ორგანიზაცია ახორციელებს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია.

რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს წევრთა გამოცდილებას, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი საპროკურორო საბჭოს წევრთა ნაწილის მიმართ ადგენს გამოცდილების კრიტერიუმს, ხოლო ნაწილის მიმართ ასეთი მოთხოვნა არ არის დაწესებული. კერძოდ:

- საპროკურორო საბჭოს მოსამართლე წევრების მიმართ დადგენილია მოსამართლედ მუშაობის ხუთ წლიანი გამოცდილება, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული სპეციალიზაცია;
- იუსტიციის მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საპროკურორო საბჭოს წევრის მიმართ დადგენილია იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება (აქაც არ არის დადგენილი სპეციალიზაციის მოთხოვნა);
- საპროკურორო საბჭოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი წევრების, ასევე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორების და მკვლევრებისთვის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის არ არის დადგენილი გამოცდილების მოთხოვნა;
- საპროკურორო საბჭოს პარლამენტის წევრების მიმართ არ არის დადგენილი გამოცდილების მოთხოვნა;

40 საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 22 მაისს, №3759/2-7/23 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

41 იხ. მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, <https://ipress.ge/news/politika/revaz-miqaberidze-saprokuroro-sabtchos-tsevrad-airchies>

42 იხ. სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი: [https://enreg.reestri.gov.ge/\\_dea/main.php?m=new\\_index](https://enreg.reestri.gov.ge/_dea/main.php?m=new_index)

- საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარდგენილ პირთან მიმართებითაც არ არის დადგენილი გამოცდილების მოთხოვნა, თუმცა, ორგანული კანონი გამოცდილების მოთხოვნას უყენებს კანდიდატის წარმდგენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. კერძოდ, საპროკურორო საბჭოს წევრის კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული რა სახის სასამართლო დავებში მონაწილეობის გამოცდილება აუცილებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროკურორო საბჭოს პროკურორ/პროკურატურის გამომძიებელ ყველა წევრს აქვს/ჰქონდა პროკურატურის სისტემაში მუშაობის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონი მათ მიმართ არ ადგენს გამოცდილების მოთხოვნას.

რაც შეეხება საბჭოს სხვა წევრებს, ამჟამად საპროკურორო საბჭოში წარმოდგენილია ორი მოსამართლე:<sup>43</sup> ირაკლი შენგელია<sup>44</sup> და რევაზ ნადარაია,<sup>45</sup> რომელთაგან არც ერთია სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლე. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მოსამართლეთა მიმართ დაწესებული გამოცდილება (ისევე როგორც ზოგადად, ყველა ვაკანსიაზე გამოცდილების მოთხოვნა) ემსახურება (უნდა ემსახურებოდეს) საპროკურორო საბჭოს წევრის მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულების მიზანს. სამოქალაქო საქმეთა განხილვის გამოცდილება ვერ ჩაითვლება რელევანტურ გამოცდილებად საპროკურორო საბჭოს წევრისთვის, რომელმაც უნდა გასცეს რეკომენდაციები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სისხლის სამართლის პოლიტიკის აღსრულება, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური ვითარება, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს - პროკურატურის საქმიანობის მიმართულებები. საპროკურორო საბჭოს სხდომების ვიდეოჩანაწერებით დგინდება, რომ საპროკურორო საბჭოში ასეთი მოსამართლეების არჩევა არაეფექტიანია. ისინი არ არიან ჩართულნი საბჭოს მუშაობაში. კერძოდ, საპროკურორო საბჭოს ერთმა მოსამართლე წევრმა (რევაზ ნადარაიამ) სამი სხდომის განმავლობაში დასვა მხოლოდ ერთი კითხვა (პროკურატურის მიერ საპატიმრო გირაოს მოთხოვნის შემცირების მიზეზებთან დაკავშირებით), ხოლო მეორე წევრმა (ირაკლი შენგელიამ) დასვა 2 კითხვა (ორ

43 იხ. განცხადება საპროკურორო საბჭოს წევრებად მოსამართლეთა არჩევის შესახებ, <http://pc.gov.ge/News/Detail?newsId=5015>

44 იხ. ირაკლი შენგელიას ბიოგრაფია, <http://pc.gov.ge/board/index>

45 იხ. რევაზ ნადარაიას ბიოგრაფია, <http://pc.gov.ge/board/index>



სხვადასხვა სხდომაზე - სასამართლოს გადატვირთვის პრევენციის მიზნით პროკურატურის გეგმებისა და საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით პროკურატურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ), რომელთაგან არც ერთი ეხებოდა სასამართლოს მხრიდან პროკურატურის საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებს (მაშინ როცა საქართველოს პროკურატურას ყველაზე მჭიდრო კომუნიკაცია მისი საქმიანობის პროცესში აქვს სწორედ სასამართლოსთან და საქართველოს პარლამენტთან და აუდიტის სამსახურთან ერთად, სასამართლოა ის ორგანო, რომელიც პროკურატურის საქმიანობაზე ახორციელებს კონტროლს.). ამასთან, პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის სხდომის აუდიო-ვიდეოჩანაწერით (რომელიც მოიცავს საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ რეკომენდაციების გაცემის პროცესს) დგინდება, რომ მოსამართლე წევრები არ არიან ჩართულნი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

საპროკურორო საბჭოს სხდომების აუდიო-ვიდეოჩანაწერები ცხადყოფს, რომ საბჭოს მუშაობაში უფრო აქტიურად არიან ჩართულები ის პირები, რომლებსაც აქვთ სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება (პროკურორები, პროკურატურის გამომძიებლები, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი). ამასთან, პროკურატურის მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე და ამ პროცესში არსებულ ხარვეზებზე განცხადებები კეთდება საპროკურორო საბჭოს იმ წევრის მიერ, რომელიც მუშაობს სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორც ადვოკატი. ხოლო, საბჭოს სხვა წევრები (მათ შორის, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრები), საპროკურორო საბჭოს მოსამართლე წევრების მსგავსად, არ არიან ჩართულები საპროკურორო საბჭოს მუშაობის პროცესში ან მათ მიერ დასმული კითხვები არის ზოგადი (ნეიტრალური) და არ არის ფოკუსირებული პროკურატურის წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროკურორო საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობისა და საპროკურორო საბჭოს მიერ რელევანტური და კვალიფიციური რეკომენდაციების გაცემის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია საპროკურორო საბჭო დაკომპლექტდეს ისეთი წევრებით, რომლებსაც აქვთ ცოდნა სისხლის სამართლის საკითხებზე ან/და სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ამ მიზნით, საჭიროა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების განხორციელება, რომლითაც საპროკურორო საბჭოს ყველა წევრისთვის (საქართველოს პარლამენტის წევრების გარდა) დაწესდება ერთიანი სტანდარტი გამოცდილება-სთან დაკავშირებით (მათ შორის, გამოცდილების ერთნაირი ვადა ყველა წევრისთვის) და იმგვარად დაზუსტდება გამოცდილების სფერო, რომ საპროკურორო საბჭოში უზრუნველყოფილი იყოს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მინიმუმ ერთი მოსამართლისა და ერთი ადვოკატის არსებობა.



### 3. საპროკურორო საბჭოს წინაშე ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია საპროკურორო საბჭოს მიერ 6 თვეში ერთხელ, ხოლო საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით – დაუყოვნებლივ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

2019 წლის შემდგომ, საპროკურორო საბჭოს საქართველოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიში არ მოუსმენია ორგანული კანონით დადგენილ ვადაში (6 თვეში ერთხელ). კერძოდ, საპროკურორო საბჭომ სხდომა გამართა მხოლოდ სამჯერ: 2020 წლის საქმიანობის ანგარიში მოისმინა 2021 წლის 12 იანვარს, 2021 წლის საქმიანობის ანგარიში - 2022 წლის 17 თებერვალს, ხოლო 2022 წლის 9 თვის ანგარიში - 2022 წლის 6 დეკემბერს. აღნიშნულის მიზეზად კვლევის ფარგლებში გამოვითხული საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების მიერ დასახელდა COVID19-ის გავრცელების პრევენცია. თუმცა, COVID19 ვერ იქნება მიჩნეული იმ გარემოებად, რომელიც შეუძლებელს ხდიდა საპროკურორო საბჭოს სხდომის ჩატარებას იმ პირობებში, როცა საქართველოს პროკურატურა ამავე პერიოდში ონლაინ/დისტანციურად ატარებდა თითქმის ყველა სახის აქტივობას (არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრებს, საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ადგილობრივი საბჭოს ონლაინ სხდომებს, კვლევის/ანგარიშების პრეზენტაციებს სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო სექტორისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, ონლაინ საინფორმაციო კამპანიებს, ტრენინგებს/სასწავლო კურსებს და შეხვედრებს), რომლებში მონაწილეთა რაოდენობა აჭარბებდა საპროკურორო საბჭოს წევრთა რაოდენობას.

რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს რიგგარეშე სხდომას, ასეთი სხდომა საპროკურორო საბჭოს არსებობის ისტორიაში არ გამართულა. ანგარიშის ფარგლებში საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ გარემოება რომელიც შესაძლოა გახდეს რიგგარეშე სხდომის მოწვევის საფუძველი შესაძლოა იყოს, მაგალითად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა იმ პირთა მიმართ, რომელთა მხრიდან გადაცდომის ჩადენის განხილვა შედის საპროკურორო საბჭოს ფუნქციებში.

## 4. პროკურატურის მიერ საპროკურორო საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიშების შინაარსი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით საპროკურორო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წინაშე გენერალური პროკურორის მიერ წარსადგენი ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით დადგენილია იდენტური მოთხოვნები. საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასება, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებლები, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამები. ამ შემთხვევაშიც ანგარიში არ უნდა მოიცავდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლოში მის განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები საპროკურორო საბჭოს 2020 და 2021 წლებში წარედგინა წელიწადში (არა 6 თვეში) ერთხელ, საქართველოს პარლამენტისთვის და საპროკურორო საბჭოსთვის გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანგარიშების სტრუქტურა და შინაარსი (საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა) იდენტურია. საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშების შინაარსის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან და პროკურატურის როლთან თუ ამოცანებთან შესაბამისობა განხილულია IV თავში.<sup>46</sup>

## 5. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე დასმული შეკითხვები, საპროკურორო საბჭოს მიერ გასმული რეკომენდაციები

საპროკურორო საბჭოს სხდომაზე, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე მიმართავს საბჭოს წევრებს დასვან შეკითხვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.


საქართველოს პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის სხდომაზე სულ დაისვა 25 შეკითხვა, 2021 წლის ანგარიშის მოსმენის სხდომაზე

<sup>46</sup> პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით ანალიზი მოცემულია ანგარიშის IV თავში (ქვეთავი 2 - პროკურატურის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების შინაარსი).

- 16, ხოლო 2022 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის სხდომაზე 8 შეკითხვა.

საპროკურორო საბჭოს ბოლო სამი სხდომის ვიდეოჩანაწერებით დგინდება, რომ შეკითხვების ძირითადი ნაწილი ისმება საპროკურორო საბჭოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი წევრების მიერ. ასევე, აქტიურები არიან საპროკურორო საბჭოს ადვოკატი წევრები. რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს სხვა წევრებს, საპროკურორო საბჭოს 2020 და 2021 წლებში გამართული სამი სხდომის ფარგლებში საპროკურორო საბჭოს 1 მოსამართლე წევრის მიერ დაისვა ორი, მეორე მოსამართლე წევრის მიერ - ერთი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი წევრის მიერ - ერთი, ხოლო პარლამენტის წევრთა მიერ არ დასმულა არც ერთი შეკითხვა (მაშინ როცა საქართველოს პარლამენტში ბოლო სამი წლის განმავლობაში არ გამართულა გენერალური პროკურორის ანგარიშის მოსმენა და მათ არ ჰქონდათ საპარლამენტო ფორმატი გენერალური პროკურორისთვის შეკითხვების დასასმელად).

### საპროკურორო საბჭოს სხდომაზე დასმული კითხვების რაოდენობა



როგორც წესი, საბჭოს ყველა წევრის მხრიდან შეკითხვების დასმა იწყება პროკურატურის საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითი შეფასებით (განსაკუთრებით ეს ეხება საპროკურორო საბჭოს პროკურორ/პროკურატურის გამომძიებელ წევრებს, რომლებიც გამოხატავენ კმაყოფილებას

გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანგარიშის მიმართ და არასოდეს აქვთ შენიშვნა/განსხვავებული მოსაზრება ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებით). მხოლოდ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი წევრის მიერ ხდება ხაზგასმა იმ გამოწვევებზე და პრობლემებზე, რომლებსაც პროკურატურასთან ურთიერთობის პროცესში აწყდებიან ადვოკატები. რაც შეეხება კითხვების შინაარსს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის ფორმალური და უფრო მეტად ეხება პროკურატურის სამომავლო გეგმებს და ხედვებს, ვიდრე ანგარიშში მოცემულ შედეგებს. დასმული შეკითხვების მცირე ნაწილი პასუხობს იმ ხარვეზებს და გამოწვევებს, რაც ნათლად ჩანს საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის საქმიანობის შესახებ წარდგენილ ანგარიშში.

საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ სხდომაზე დასმული კითხვები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- 6 - გადამზადება/შეხვედრები;
- 4 - საზოგადოებასთან კომუნიკაცია;
- 4 - სტატისტიკური მონაცემები;
- 4 - სამომავლო გეგმები კონკრეტულ დანამაულებთან ბრძოლის ან ინსტიტუტის გააქტიურების მიმართულებით;
- 3 - სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა;
- 3 - სისხლის სამართლის პოლიტიკა;
- 2 - პროკურორთა დატვირთვა;
- 2 - სტაჟირების სისტემა, პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
- 2 - პროკურორთა რანგირება;
- 2 - პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევები;
- 2 - მტკიცების სტანდარტი;
- 2 - ადამიანური რესურსები (მათ შორის, გენდერული ბალანსი);
- 2 - კრიმინოგენური ვითარება;
- 2 - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული გამოწვევები;
- 1 - ღიაობა/გამჭვირვალობა;
- 1 - პროკურატურის ინფრასტრუქტურა;
- 1 - პროკურორთა სოციალური გარანტიები;
- 1 - პროკურორებთან ადვოკატების კომუნიკაციის სირთულე;

- 1 - პროკურორების მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გაჭიანურება;
- 1 - საპროცესო შეთანხმების პირობების სიმკაცრე;
- 1- საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნა.

რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს მიერ ანგარიშის საფუძველზე გენერალური პროკურორისთვის წარდგენილ რეკომენდაციებს, აღსანიშნავია, რომ მათი რაოდენობა ყოველ მომდევნო წელს იზრდება.

### საპროკურორო საბჭოს მიერ გახვეული რეკომენდაციების რაოდენობა



რაც შეეხება რეკომენდაციების შინაარსს, ისინი არ პასუხობენ პროკურატურის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებს და იმ ხარვეზებს, რომლებიც ცალსახად გამოკვეთილია ანგარიშებში (განსაკუთრებით სტატისტიკურ მონაცემებში). საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ არ ხდება საფუძვლიანი მსჯელობა გასაცემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. საქართველოს პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე საპროკურორო საბჭოს სხდომის აუდიო-ვიდეოჩანაწერი მოიცავს საპროკურორო საბჭოს წევრთა დისკუსიას გასაცემი რეკომენდაციების თაობაზე. აღნიშნული დისკუსია გრძელდება მხოლოდ ნახევარი საათი და ხდება შეთანხმება 5 რეკომენდაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა დამატებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადაეგზავნათ სხვა რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ წელს საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან ჩანს, რომ სხდომის დასრულების შემდგომ რეკომენდაცია არ დამატებულა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საპროკურორო საბჭოს მიერ რეკომენდაციებზე მსჯელობას ესწრებოდა გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები, რაც შესაძლოა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება საბჭოს წევრებისთვის თამამად წამოაყენონ წინადადებები გენერალური პროკურორისთვის წარსადგენი რეკომენდაციების თაობაზე.

შეკითხვებისა და რეკომენდაციების შინაარსზე, მათ რელევანტურობაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საპროკურორო საბჭოს წევრებს წინასწარ არ ეგზავნებათ პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიში (როგორც ეს ხდება მაგალითად საქართველოს პარლამენტის შემთხვევაში). შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს წევრებს არ აქვთ დრო სხდომისთვის მოსამზადებლად და უწევთ ანგარიშის (რომლის მოცულობა როგორც წესი აღემატება 100 გვერდს) გაცნობა/მოსმენა უშუალოდ საპროკურორო საბჭოს სხდომაზე. როგორც საპროკურორო საბჭოს წევრებთან ინტერვიუებით გაირკვა, არ არსებობს საპროკურორო საბჭოს წევრების საპროკურორო საბჭოს სხდომამდე შეკრების ან/და წინასწარი კოორდინაციის პრაქტიკა, სადაც განხილული იქნებოდა ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებული მოლოდინები ან/და განვლილ პერიოდში პროკურატურის წინაშე მათ მიერ დანახული გამოწვევები. შესაძლოა ზემოაღნიშნული გარემოებები აფერხებდეს საპროკურორო საბჭოს წევრების სათანადო მომზადებას სხდომისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საპროკურორო საბჭოს წევრებს გონივრული ვადით ადრე გაეგზავნოთ პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიში, რაც მათ მისცემს სხდომისთვის უკეთ მომზადების (მათ შორის, არსებული გამოწვევების საპასუხო კითხვების დასმისა და პრობლემებზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავების) შესაძლებლობას. ამასთან, განხილული იქნეს საპროკურორო საბჭოს სხდომამდე და სხდომის შემდგომ საბჭოს წევრებს შორის შეხვედრის (თუნდაც ონლაინ) გამართვის პრაქტიკის დანერგვა, სხდომისთვის უკეთ მომზადებისა და გასაცემ რეკომენდაციებზე საფუძვლიანად მსჯელობის მიზნით. ამასთან, საპროკურორო საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ უზრუნველყოს რეკომენდაციებზე მსჯელობა გენერალური პროკურორისა და მისი მოადგილეების დასწრების გარეშე. ასევე, მიზანშეწონილია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 21-ე პუნქტში დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში აქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრების უფლებამოსილება და გამოირიცხოს რეკომენდაციებზე მსჯელობისას საპროკურორო საბჭოს სხდომაზე მისი დასწრების შესაძლებლობა.

საპროკურორო საბჭოს ფორმირების წესის შეცვლასთან დაკავშირებით რეკომენდაციები გაცემული იქნა ასევე ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის („პროკურატურის სისტემის რეფორმა“) ფარგლებში.



## 6. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის თანახმად, გენერალური პროკურორია პასუხისმგებელი პროკურატურის საქმიანობაზე. თუმცა, ამავე ორგანული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საპროკურორო საბჭოს წინაშე პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიში შეიძლება წარადგინოს როგორც გენერალურმა პროკურორმა, ასევე მისმა პირველმა მოადგილემ ან მოადგილემ. საპროკურორო საბჭოს სხდომების ვიდეოჩანაწერებით დგინდება, რომ საპროკურორო საბჭოს სხდომებზე პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარადგენს როგორც გენერალური პროკურორი, ასევე მისი პირველი მოადგილე და ერთ-ერთი მოადგილე.

პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვის მიზნით საპროკურორო საბჭოს სხდომა გაიმართა 2021 წლის 12 იანვარს. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინეს გენერალურმა პროკურორმა, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ და გენერალური პროკურორის მოადგილემ.

საპროკურორო საბჭოს სხდომა გაგრძელდა 4 საათი და 39 წუთი, რომელთაგან 2 საათისა და 30 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა ანგარიშის წარდგენა, ხოლო 1 საათი და 50 წუთი გაგრძელდა შეკითხვების დასმა (20 წუთი გამოცხადდა შესვენება).

### 6.1. ანგარიშში გამოკვეთილი ტენდენციები

საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშის თანახმად:

- შემცირებულია: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების,<sup>47</sup> სრულწლოვან (21 წლის ასაკის ზემოთ) და (2016 წლის შემდეგ პირველად) არასრულწლოვან პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენების, პროკურორის მიერ მოთხოვნილი

47 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი შემცირებულია 3 489 ერთეულით. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: ქურდობა - 15,8% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი), ნარკოტიკული დანაშაული - 14% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 265-ე, 273<sup>1</sup> მუხლები), ოჯახში ძალადობა - 13,3% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლი), ჯანმრთელობის დაზიანება და ძალადობა - 11,5% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე მუხლები) და მუქარა - 8,7% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი).

აღკვეთის ღონისძიებების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების, საპროცესო შეთანხმების (მათ შორის, ადრეულ სტადიაზე საპროცესო შეთანხმების) გაფორმების, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების, გამამართლებელი განაჩენების, პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების მაჩვენებლები. ასევე, შემცირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა (2019 წელს იყო 767, ხოლო, 2020 წელს - 556);

- გაზრდილია: პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის, არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისა და ასევე, სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდების, (25%-ით) არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, 5%-ით პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების გამოტანის, გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე და ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები. ასევე, გაზრდილია ოჯახურ დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი, თუმცა, დაბალია (და წინა წელთან შედარებით შემცირებულია) მათი დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი (53%).

ამასთან, ანგარიშში გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები: ნაფიც მსაჯულთა მიერ მკვლელობის ყველა საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი ვერდიქტი; განრიდებულ არასრულწლოვანთა 63%-ის მიერ ჩადენილია ქურდობა; პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 179 პირის მიმართ, რომელთა 40% არიან საჯარო მოხელეები (მათგან 53.5% არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები); ნარკოტიკების რეალიზატორების მიმართ გატარებულია მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა; მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირთაგან მხოლოდ 12%-ია ქალი.

## 6.2. საპროკურორო საბჭოს სტდომა და საბჭოს წევრთა მიერ დასმული შეკითხვები

საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დაისვა 25 შეკითხვა, რომელთაგან 18 შეკითხვა დასვა საპროკურორო საბჭოს პროკურორმა წევრებმა, ხოლო 7 - საპროკურორო საბჭოს არაპროკურორმა წევრებმა (4 კითხვა - პარლამენტის მიერ არჩეულმა ადვოკატმა წევრებმა, 2 კითხვა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულმა მოსამართლე წევრებმა, 1 კითხვა - პარლამენტის მიერ არჩეულმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა).

საბჭოს წევრთა მიერ დასმული შეკითხვები <sup>48</sup>	
პროკურორი წევრი (მერაბ ჯერანაშვილი)	1. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის კუთხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, ხომ არ უნდა გამკაცრდეს სანქციები იმ ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რომლებიც არ ცხადდებიან? ან ხომ არ უნდა შემცირდეს ის საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავს პირის ნაფიც მსაჯულად ყოფნას?
	2. რა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრებია დაგეგმილი კორუფციული დანაშაულების გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით?
	3. სტაჟირება ხომ გაგრძელდება პროკურატურაში?
პროკურორი წევრი (ივანე კაკალია)	4. რა ვითარებაა თბილისის რაიონული პროკურატურებისთვის შენობის აშენების საკითხთან დაკავშირებით?
პროკურორი წევრი (ამირან გულუაშვილი)	5. როგორ შეაფასებთ საანგარიშო პერიოდს პროკურატურის მიერ საზოგადოების ინფორმირების კუთხით? იყო თუ არა პროაქტიული პროკურატურა?
	6. რა ხედვა გაქვთ სასამართლოსთან და დაცვის მხარესთან სისხლის სამართლის ელექტრონული პროგრამის საშუალებით ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ?
	7. როგორ აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელმაც შეცვალა მტკიცებულებითი სტანდარტი ამ კატეგორიის დანაშაულებზე?
	8. ხომ არ არის დაგეგმილი კონკრეტული ნაბიჯები პროკურორთა სოციალური გარანტიების კიდევ უფრო მეტად გასაუმჯობესებლად?

48 შეკითხვები არ არის სიტყვა-სიტყვით ციტირებული. ისინი შემოკლებულია შინაარსის შენარჩუნებით.

პროკურორი წევრი (გვანცა გვიმრაძე)	9. რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს პროკურატურა 2021 წელს?
პროკურორი წევრი (ვლადიმერ ნარინდოშვილი)	10. იგეგმება თუ არა სპეციალიზებული პროკურორების დამატებითი გადამზადება?
	11. როგორ გაგრძელდება პროკურორთა რანგირების ეს პროცესი. გაფართოვდება თუ არა პირველი და მეორე რანგის პროკურორთა რიცხვი?
პროკურორი წევრი (ირაკლი გაჩეჩილაძე)	12. მკაცრი პოლიტიკის მიუხედავად, მზარდია ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი. რა გავლენას ახდენს ოჯახში ძალადობაზე განხორციელებული მკაცრი პოლიტიკა ამ დანაშაულის გავრცელებაზე?
პროკურორი წევრი (ილია ჯანაშია)	13. იგეგმება თუ არა ახალი კადრების მიღება შედარებით დატვირთულ სტრუქტურულ ერთეულებში?
	14. რამ განაპირობა სასამართლოს მიერ ოჯახურ დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებლის შემცირება?
პროკურორი წევრი (ნანა ხუნჯუა)	15. არსებობს თუ არა შეზღუდვა პროკურორთა რანგირების დროს. რამდენ პროკურორზე არის გათვლილი დაწინაურების ეს პოლიტიკა და არის თუ არა რაოდენობა შეზღუდული?
	16. ფიქრობთ თუ არა, რომ მენეჯერებს შორის გენდერული დისბალანსის მიზეზების დასადგენად საჭიროა კვლევის ჩატარება?
	17. არის თუ არა შეფასებული პროკურორების საშუალო დატვირთულობა. ამჟამინდელი კადრები არის საკმარისი თუ საჭიროა მათი რაოდენობის გაზრდა?
	18. საკვალიფიკაციო გამოცდები მიიღებს სისტემატურ ხასიათს, თუ მხოლოდ 2021 წელს ჩატარდება?
არაპროკურორი წევრი (რევაზ მიქაბერიძე - პარლამენტის მიერ არჩეული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი)	19. როგორია თქვენი ზოგადი შეფასება ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებაზე?

<p>არაპროკურორი წევრი (ირაკლი შენგელია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული მოსამართლე)</p>	<p>20. გაზრდილი საქმეების ფონზე როგორ უზრუნველყოფთ პროკურატურისა და სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას. რა გზებით არის შესაძლებელი რესურსების დაზოგვა?</p>
<p>არაპროკურორი წევრი (რევაზ ნადარაია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული მოსამართლე)</p>	<p>21. რამ განაპირობა საპატიმრო გირაოს მოთხოვნით სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობების შემცირება?</p>
<p>არაპროკურორი წევრი (ლილი გელაშვილი - პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი)</p>	<p>22. ოჯახურ დანაშაულზე მხოლოდ პოლიტიკის სიმკაცრე არაა შედეგზე ორიენტირებული. ხომ არ უნდა გაიზარდოს მტკიცებულებითი სტანდარტი ოჯახურ დანაშაულებზე?</p>
	<p>23. სასამართლო სხდომების გაჭიანურებისგან გამოსავალი ხომ არ არის საპროცესო შეთანხმება? ადვოკატები თვეების განმავლობაში ელოდებიან საპროცესო შეთანხმების პირობების დამტკიცებას. ამაზე მხოლოდ ადვოკატები კი არა მოსამართლეებიც ჩივიან. ეს პროცესები იდება თვეობით საპროცესოს მოტივით და ბოლოს ან უარია საპროცესოზე ან ისეთი პირობებია შემოთავაზებული, რასაც დაცვის მხარე არ ეთანხმება და ვერც დაეთანხმება. მუშაობთ თუ არა ამ კუთხით, რომ გაიზარდოს საპროცესო შეთანხმებების რიცხვი?</p> <p>24. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ადვოკატებს აქვთ, ეს არის კომუნიკაცია პროკურორებთან, კომუნიკაციის არარსებობა პროკურორებთან. სატელეფონო ზარის პრობლემაცაა. ეს არ არის ზერელე განცხადება. ეს არის ადვოკატების 70%-ის პრობლემა. რატომ აჭიანურებენ პროკურორები თვეობით საპროცესო შეთანხმებას და პასუხს არ გვცემენ განცხადებებზე (რომლებიც ეხება საპროცესო შეთანხმებას)?</p>
<p>არაპროკურორი წევრი (თეა ჭიშვილი - პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი)</p>	<p>25. ტრენინგები არის თუ არა მორგებული იმ გამოწვევებზე, რომლებიც ვლინდება პროკურორთა საქმიანობის ხარისხის შეფასების დროს?</p>

დასმული შეკითხვები ცხადყოფს, რომ შეკითხვების ძალიან მცირე ნაწილი ეხმინება იმ გამოწვევებს, რომლებიც პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის

ანგარიშშია მოცემული. კერძოდ, არც ერთი შეკითხვა არ არის დასმული ანგარიშში გამოკვეთილ მნიშვნელოვან გამოწვევებზე: როგორია პროკურატურის (როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებელი ორგანოს) ხედვა და გეგმები ქურდობაზე (რომელიც წლების განმავლობაში არის ყველაზე გავრცელებული დანაშაული); რატომ არის შემცირებული სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელი; ზოგადად, როგორია პროკურატურის ხედვა და პოლიტიკა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით; რატომ არის გაზრდილი პატიმრობის მაჩვენებელი; რატომ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელსა და სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებს შორის ასეთი დიდი სხვაობა; რატომ არის შემცირებული საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ადრეულ სტადიაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი (მაშინ როცა კოვიდის გავრცელების პირობებში შესაძლოა ეს მექანიზმი ყოფილიყო ყველაზე კარგი გამოსავალი სწრაფი მართლმსაჯულების განსახორციელებლად); რატომ არის გაზრდილი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი; რატომ არის კოვიდის გავრცელების პირობებში გამკაცრებული სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ (კერძოდ, შემცირებულია არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის მაჩვენებელი, გაზრდილია პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების მაჩვენებელი, გაზრდილია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი); რამ განაპირობა არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების 25%-იანი მატება; რამ განაპირობა პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებლის გაზრდა.

### 6.3. საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები

პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშში არსებული არაერთი გამოწვევის ფონზე, საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემულია მხოლოდ სამი რეკომენდაცია:

1. საქართველოს პროკურატურის პროკურორებსა და გამომძიებლებს და საქართველოს საერთო სასამართლოების წარმომადგენლებს შორის გაიმართოს სამუშაო შეხვედრები მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების თემატიკაზე;



2. საქართველოს პროკურატურის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს ოჯახურ და-ნაშაულებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და განხილულ იქნეს შესაძლებლობები ამ ტიპის დანაშაულებში ბრალდებულ პირთა მიმართ, პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისა და წახალისების თაობაზე, არსებული მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებით;
3. საქართველოს პროკურატურის მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეებზე პროცესების გაჭიანურების მიზეზების იდენტიფიცირებისა და შემდგომ მათი აღმოფხვრისკენ.

საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ ისინი არ პასუხობენ არც ანგარიშში მითითებულ გამოწვევებს და არც სხდომაზე საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ გამოთქმულ წუხილებს (მაგალითად, საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პრობლემად დასახელდა - ადვოკატების პროკურორებთან კომუნიკაციის სირთულე, საპროცესო შეთანხმების გაფორმების გაჭიანურება, საპროცესო შეთანხმების დროს მკაცრი პირობების შეთავაზება, საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებულ განცხადებაზე პროკურორების მიერ პასუხების გაცემის გაჭიანურება, მენეჯერებს შორის გენდერული დისბალანსი და ა.შ.).

## 7. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა

პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვის მიზნით საპროკურორო საბჭოს სხდომა გაიმართა 2022 წლის 17 თებერვალს. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინეს გენერალურმა პროკურორმა, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ და გენერალური პროკურორის მოადგილემ.

საპროკურორო საბჭოს სხდომა გაგრძელდა 4 საათი და 41 წუთი, რომელთაგან 2 საათისა და 45 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა ანგარიშის წარდგენა, 1 საათი და 10 წუთი გაგრძელდა შეკითხვების დასმა, ხოლო დაახლოებით ნახევარი საათი დაეთმო რეკომენდაციებზე მსჯელობას (20 წუთი გამოცხადდა შესვენება).

## 7.1. ანგარიშში გამოკვეთილი ცენზუსები

საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშის თანახმად:

- შემცირებულია: პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის, არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისა და სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისას თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნისა და სასამართლოს მიერ მისი შეფარდების, (22,2%-ით) არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, 8%-ით პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენების გამოტანის, კორუფციულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლები;
- გაზრდილია: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების,<sup>49</sup> სრულწლოვან (21 წლის ასაკის ზემოთ) და არასრულწლოვან პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენების, პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების, საპროცესო შეთანხმების (მათ შორის, პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების) გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების, პროკურატურის (როგორც საგამოძიებო ორგანოს) მიერ გამოძიებისა და ამავე საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის, ფულის გათეთრების საქმეებში იურიდიულ პირთა ჩართულობის გამოვლენის, ნაფიც მსაჯულთა მიერ მკვლელობის საქმეებზე გამამართლებელი ვერდიქტების გამოტანის მაჩვენებლები. ასევე, გაზრდილია შემდეგ

<sup>49</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 4119 ერთეულით. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: ქურდობა - 15,6% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი), ნარკოტიკული დანაშაული - 13,2% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 265-ე, 273-ე მუხლები), ოჯახში ძალადობა - 10,8% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლი), მუქარა - 9% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი), ჯანმრთელობის დაზიანება და ძალადობა - 10,8% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე მუხლები).

დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი: ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული დანაშაულები, ნარკოტიკების რეალიზატორები, ოჯახური დანაშაული, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, ფულის გათეთრება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

ამასთან, ანგარიშში გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები: გაზრდილია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა (2020 წელს იყო 556, ხოლო 2021 წელს - 614), განრიდებულ არასრულწლოვანთა 66%-ის მიერ ჩადენილია ქურდობა; სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა საგრძნობლად დაბალია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზე; სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განხილული საქმეების რაოდენობა საგრძნობლად დაბალია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზე. კერძოდ, 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იქნა 251 არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო, სასამართლომ განიხილა 154 მათგანი (61%); პროკურატურის მიერ მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მოხელეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 117 პირის მიმართ, რომელთა უმრავლესობა (79%) არიან შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები; კორუფციული დანაშაულებისთვის ბრალდებულ პირთა 42% არიან საჯარო სექტორში დასაქმებული პირები. ბრალდებულ საჯარო მოხელეთა 60%-ს წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები; ოჯახურ დანაშაულებზე კვლავ მაღალია პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი - 91% (თუმცა, წინა წელთან შედარებით შემცირებულია), პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი დაბალია (51%); მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირთაგან მხოლოდ 11%-ია ქალი.

## 7.2. საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ ანგარიშთან დაკავშირებით დასმული შეკითხვები

საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დაისვა 15 შეკითხვა, რომელთაგან 8 შეკითხვა დასვეს საპროკურორო საბჭოს პროკურორმა წევრებმა, ხოლო 8 - საპროკურორო საბჭოს არაპროკურორმა წევრებმა (1 კითხვა დასვა მოსამართლე წევრმა, 7 კითხვა - საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულმა ადვოკატმა წევრებმა).

## საქმის წევრების მიერ დასმული შეკითხვები

<p>პროკურორი წევრი (ნანახუნჯუა)</p>	<p>1. იგეგმება თუ არა დაზარალებულებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების პროცესში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა და არის თუ არა მათი რესურსი საკმარისი?</p> <p>2. განრიდების გაფართოების შემთხვევაში იქნება თუ არა აქცენტი გაკეთებული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე?</p> <p>3. სკოლის მოსწავლეებთან პროკურორების შეხვედრები იქნება თუ არა ისევ პრიორიტეტული?</p>
<p>პროკურორი წევრი (ამირან გულუაშვილი)</p>	<p>4. როგორ აფასებთ თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულებზე ბრძოლას სამომავლო პერსპექტივაში ან როგორია საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით ხედვა?</p> <p>5. როგორ აფასებთ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. რამდენად ეფექტურს გახდის ეს კანონი საგამოძიებო ფუნქციების განხორციელებას?</p> <p>6. იგეგმება თუ არა მხარეებთან მტკიცებულებების ელექტრონულად გაცვლა და სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში სასამართლოსა და დაცვის მხარის ჩართვა?</p>
<p>პროკურორი წევრი (ირაკლი გაჩეჩილაძე)</p>	<p>7. რატომ არ არის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოთვლის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული განრიდების გარეშე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მაჩვენებელი?</p>
<p>პროკურორი წევრი (გვანცა გვიმრაძე)</p>	<p>8. იმის გათვალისწინებით, რომ თაღლითობა არის ერთ-ერთი გამოწვევა, დიდია მათი რაოდენობა, საჩივრებიც ბევრია ამ დანაშაულზე, რა გეგმები აქვს პროკურატურას?</p>
<p>მოსამართლე წევრი (ირაკლი შენგელია - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული მოსამართლე)</p>	<p>9. ხშირია შავი პიარი პროკურატურის მიმართ სატელევიზიო და ინტერნეტსივრცეში. ამის შეკავება პრეს-რელიზით შეუძლებელია. პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით რა ღონისძიებები იგეგმება?</p>

<p>ადვოკატი წევრი (ლილი გელაშვილი - პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი)</p>	<p>10. ხშირად ისეთი პირობაა დაცვის მხარისთვის პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების დროს შეთავაზებული, რომ ინტერესი აღარ არის საპროცესო შეთანხმების მიმართ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება უფრო ჰუმანურია, ვიდრე პროკურატურის პირობები იყო. განრიდებული არასრულწლოვნების მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი დაბალია. სავარაუდოდ, იგივე მოცემულობაა იმ მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომლებთანაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. უნდა იყოს თუ არა პროკურატურის პოლიტიკა საპროცესო შეთანხმების მომატება?</p>
	<p>11. ხომ არ იგეგმება კვლევის ჩატარება იმასთან დაკავშირებით, თუ რითია გამოწვეული ოჯახური დანაშაულის ასეთი ზრდა?</p>
	<p>12. მხოლოდ ქალები არიან დაზარალებულები ოჯახური დანაშაულის შედეგად, თუ არიან კაცებიც?</p>
<p>არაპროკურორი წევრი (თეა ჭიშვილი პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი)</p>	<p>13. რა იგეგმება და რა გამოწვევებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით. ცოტა საქმეა განხილული და რა არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით?</p>
	<p>14. ხომ არ იგეგმება პროკურორების გადამზადება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების მიზნით?</p>
	<p>15. განრიდება-მედიაციის დროს განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი არის 9%. რა გამოწვევებია ამ ინსტიტუტის განხორციელების დროს და რა გეგმებია მის განსავითარებლად?</p>
	<p>16. თუ არის დაგეგმილი თქვენი მონაწილეობა ბენჩ-ბარის შეხვედრებში? არის თუ არა ეს ინსტიტუტი გასააქტიურებელი?</p>

დასმული შეკითხვები ცხადყოფს, რომ შეკითხვების ძალიან მცირე ნაწილი ეხმიანება იმ გამოწვევებს, რომლებიც ანგარიშშია მოცემული. კერძოდ, არც ერთი შეკითხვა არ არის დასმული ანგარიშში გამოკვეთილ მნიშვნელოვან გამოწვევებზე: მაშინ როცა 2021 წელს (2020 წელთან შედარებით) რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა არის ფაქტობრივად იგივე, რამ განაპირობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა; როგორია პროკურატურის (როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებული ორგანოს) ხედვა და გეგმები ქურდობაზე (რომელიც წლების განმავლობაში არის ყველაზე გავრცელებული დანაშაული); რატომ მოიმატა ნარკოტიკული საშუალების რეალიზატორების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის და-

წყებამ, რატომ გაიზარდა ეს დანაშაული და რა ხედვა აქვს პროკურატურას ამ დანაშაულთან ბრძოლის/პრევენციის მიმართულებით; რატომ არის სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა საგრძნობლად დაბალი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზე, რატომ ჭიანურდება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, მათ შორის არასრულწლოვანთა საქმეებზე; რატომ არის გაზრდილი გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი და რა არის გამამართლებელი განაჩენების გამოტანის მიზეზები; რატომ არის გაზრდილი საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი და რატომ არის შემცირებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება; როგორია ზოგადად პროკურატურის ხედვა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით; რატომ არის შემცირებული არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმების გამოყენება, მაშინ როცა წინა წელს იყო ზრდის ტენდენცია (ზოგადად როგორია პროკურატურის პოლიტიკა არასრულწლოვნებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე); რა ხედვა აქვს პროკურატურას მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაულების პრევენციაზე (და რა ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, რომელთა თანამშრომლების წილი ყველაზე დიდი მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებში); რამ განაპირობა კორუფციულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მატება, ხოლო გამოძიების დაწყების შემცირება; რატომ არის ასეთი დისბალანსი მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირებს შორის (წინა წელთან შედარებით შემცირებულიც კი).

### 7.3. საპროკურორო საბჭოს მიერ გახეიული რეკომენდაციები

წინა წლისაგან განსხვავებით, საპროკურორო საბჭოს სხდომაზე გაიმართა მსჯელობა საპროკურორო საბჭოს მიერ გასაცემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. საპროკურორო საბჭოს მიერ გასაცემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მოსაზრებები წამოაყენეს მხოლოდ საპროკურორო საბჭოს პროკურორმა წევრებმა.

პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე გაცემული იქნა ხუთი რეკომენდაცია:

1. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმოს ტრენინგები გამომძიებლებისა და პროკურორებისათვის. ამავედროულად, შედგეს შესაბამისი სახელმძღვანელო, სადაც გაწერილი იქნება ის ძირითადი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია ამ ტიპის დანაშაულის გამოსავლენად;



2. ფინანსური გამოძიების ეფექტიანობის გაზრდისა და არსებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, რეკომენდებულია პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის შემუშავდეს სახელმძღვანელო პარალელური ფინანსური გამოძიების წარმოების შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება გათვალისწინებული ჩასატარებელი საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებები. სახელმძღვანელოს მიღების შემდეგ, თანამშრომლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები და გადამზადდნენ საკითხის ირგვლივ;
3. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტების პროკურორების მიერ პრაქტიკაში იმპლემენტაციის და აღნიშნულ სფეროში პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდეს შესაბამისი ტრენინგები, განხორციელდეს სტრასბურგის სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებების ანალიზი და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო. გაძლიერდეს მოხელეთა და მოხელეებთან გათანაბრებული პირების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ არსებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი;
4. გამომძიებელთა და პროკურორთა დატვირთვების პორტალის მიხედვით, დატვირთული თანამშრომლების და რთული კატეგორიის საქმეებზე ზედამხედველი პროკურორების წახალისების მიზნით, კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭომ შეიმუშაოს შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები;
5. უწყვეტი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს სახელმძღვანელო წესები პროკურორებისათვის. მაქსიმალურად გაიზარდოს საქართველოს პროკურატურის ჩართულობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ გამართულ, ე.წ. „ბენჩ-ბარის“ ფორმატის შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში.

ანგარიშის შინაარსი, სხდომაზე დასმული კითხვები და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ ისინი სრულყოფილად არ პასუხობენ არც ანგარიშში მითითებულ გამოწვევებს და არც საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ სხდომაზე მოთქმულ წუხილებს (მაგალითად, სხდომაზე პრობლემად დასახელდა - საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს დაცვის მხარისთვის ზედმეტად მკაცრი პირობების შეთავაზება, ანგარიშში დაზარალებულების შესახებ ინფორმაციის არარსებობა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ), საზოგადოებასთან სათანადო კომუნიკაციის არ არსებობა, სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში სასამართლოსა და დაცვის მხარის ჩართვა, ოჯახური დანაშაულის ზრდის გამომწვევი მიზეზების კვლევა, იმ პირთა მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის (რეციდივის) შესახებ ინფორმაციის (კვლევის) არარსებობა, რომელთა მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ადამიანის უფლებების სამმართველოს გაძლიერება და ა.შ.

## 8. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის მიერ 2022 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიშის განხილვა

პროკურატურის 2022 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშის განხილვის მიზნით საპროკურორო საბჭოს სხდომა გაიმართა 2022 წლის 6 დეკემბერს. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე პროკურატურის 2022 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიში წარადგინეს გენერალურმა პროკურორმა, გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ და გენერალური პროკურორის მოადგილემ.

საპროკურორო საბჭოს სხდომა გაგრძელდა 4 საათი და 11 წუთი, რომელთაგან 3 საათისა და 6 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა ანგარიშის წარდგენა, ხოლო ნახევარი საათი გაგრძელდა შეკითხვების დასმა (35 წუთი გამოცხადდა შესვენება).

### 8.1. ანგარიშში გათვალისწინებული ტენდენციები

საპროკურორო საბჭოს წინამე წარდგენილი ანგარიშის თანახმად:

- გაზრდილია: სრულწლოვან (21 წლის ასაკის ზემოთ) და არასრულწლოვან პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი, არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების, გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი, საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენებიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, ფულის გათეთრების ფაქტებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ყადაღა/ამოღებისა და ჩამორთმევის, ფულის გათეთრების საქმეებში იურიდიულ პირთა ჩართულობის გამოვლენის, კორუფციის ფაქტებზე გამოძიების დაწყების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ნარკოტიკების რეალიზატორების მიმართ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები;

- შემცირებულია: პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის, ადრეულ ეტაპზე (პირველი წარდგენის სხდომაზე, წინასასამართლო სხდომაზე, პირველი წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე პერიოდში) საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი, სასამართლოს მიერ არსებითი განხილვისას თავისუფლების აღკვეთის გამოყენების, არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის მოთხოვნისა და შეფარდების, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებლები.

ამასთან, ანგარიშში გამოკვეთილია შემდეგი ტენდენციები: სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება შემდეგ დანაშაულებზე: ქურდობა - 15,9% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი), ნარკოტიკული დანაშაული - 15,7% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 265-ე, 273<sup>1</sup> მუხლები), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ძალადობა - 10,9% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე მუხლები), მუქარა - 9,1% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლი), ოჯახში ძალადობა - 8,8% (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლი); გაზრდილია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა (2021 წელს იყო 614, ხოლო 2022 წლის მხოლოდ 9 თვეში - 704); დიდია სხვაობა სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა და იმ არასრულწლოვანთა რაოდენობას შორის, რომელთა მიმართ დაწყებული იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა (2022 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იქნა 250 არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო სასამართლომ განიხილა მხოლოდ 134 მათგანი); განრიდებულ არასრულწლოვანთა 74%-ის მიერ ჩადენილია ქურდობა; გაზრდილია სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებული და მსჯავრდებული პირების რაოდენობა; კორუფციულ დანაშაულში ბრალდებულ საჯარო მოხელეთა უდიდეს ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები წარმოადგენენ.

## 8.2. საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დასმული შეკითხვები

საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დაისვა 7 შეკითხვა, რომელთაგან სამი შეკითხვა დასვა საპროკურორო საბჭოს პროკურორმა წევრებმა, ხოლო 4 - საპროკურორო საბჭოს ერთ-ერთმა არაპროკურორმა წევრმა (საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულმა ადვოკატმა).

## საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვები

პროკურორი წევრი (ვლადიმერ ნარინდოშვილი)	1. იგეგმება თუ არა რეგიონების გამომძიებლების გადამზადება ფულის გათეთრების საკითხებზე?
პროკურორი წევრი (ეკა ხარებავა)	2. რა ღონისძიებები და კამპანიებია დაგეგმილი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად? რა ბერკეტებით აპირებს პროკურატურა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას?
პროკურორი წევრი (გვანცა გვიმრაძე)	3. რა სიახლეებია სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში სასამართლოსა და დაცვის მხარის ჩართვის მიმართულებით?
არაპროკურორი წევრი (თეა ჭეიშვილი - პარლამენტის მიერ არჩეული ადვოკატი)	4. რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურა იმ შემთხვევაში, როცა არ ხდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა?
	5. არის თუ არა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები საჯარო?
	6. რა გამოწვევებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით საქმის განხილვის დროს. მათი გადაჭრის გზებს როგორ ხედავს პროკურატურა?
	7. რა გამოწვევებია ციფრული მტკიცებულებების მოპოვების პროცესში და როგორ ხედავს პროკურატურა მათი გადაჭრის გზებს?

აღნიშნულ სხდომაზე საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ დასმული შეკითხვების რაოდენობა არის ძალიან მცირე. ამასთან, ისევე როგორც წინა წლებში, ისინი არ ეხმიანება ანგარიშში მოცემულ მნიშვნელოვან გამოწვევებს: როგორია პროკურატურის (როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებელი ორგანოს) ხელვა და გეგმები ქურდობაზე (რომელიც წლების განმავლობაში არის ყველაზე გავრცელებული დანაშაული); რატომ არის შემცირებული ადრეულ ეტაპზე (პირველი წარდგენის სხდომაზე, წინასასამართლო სხდომაზე, პირველი წარდგენიდან წინასასამართლოს სხდომამდე პერიოდში) საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისად, გაზრდილია არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი (წინა ორ სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დროულად გაფორმება საპროკურორო საბჭოს ადვოკატი წევრის მიერ სახელდებაოდა ერთ-ერთ მწვავე პრო-

ბლემად); რატომ არის გაზრდილი მნიშვნელოვნად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობა და რა ხედვა და გეგმები აქვს ამ მიმართულებით პროკურატურას; რატომ არის დიდი სხვაობა სასამართლოში განხილულ არასრულწლოვანთა საქმეებსა და დევნადაწყებულ არასრულწლოვნებს შორის (რატომ ჭიანურდება სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეების განხილვა, მაშინ როცა ისინი პრიორიტეტულად უნდა განიხილებოდეს); რატომ არის გაზრდილი საჯარო და კერძო სექტორში კორუფცია და რა ხედვა აქვს ამ საკითხზე პროკურატურას; რა გეგმები აქვს პროკურატურას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კორუფციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით (კორუფციაში ბრალდებულ პირთა უდიდეს ნაწილს სწორედ ამ ორგანოს წარმომადგენლები წარმოადგენენ); რატომ იზრდება ყოველწლიურად ნარკოტიკების რეალიზატორთა რაოდენობა და რა ხედვა აქვს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პროკურატურას; რამ განაპირობა ბოლო ორი წლის განმავლობაში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის გაზრდა, რა შეცვალა პროკურატურამ პოლიტიკაში; რა გეგმები აქვს პროკურატურას მენეჯერულ პოზიციაზე მყოფ პირთა გენდერული დაბალანსების მიმართულებით; რატომ არის გაზრდილი პროკურორთა მხრიდან ჩადენილი დისციპლინური სამართალდარღვევების გამოვლენის მაჩვენებელი და რა სახის გადაცდომებს აქვს ადგილი პროკურატურის სისტემაში.

### 8.3. საპროკურორო საბჭოს მიერ გასხეული რეკომენდაციები

პროკურატურის 2022 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშში არსებული არაერთი გამოწვევის ფონზე, საპროკურორო საბჭოს მიერ გაცემულია 6 რეკომენდაცია:

1. საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, პროკურატურის მიზანია 2022-2027 წლებში გაიზარდოს ცალკეულ სპეციფიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა. აღნიშნულ სტრატეგიაში მითითებულ დანაშაულებთან ერთად, თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები;
2. დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით, პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში აქტიურად ჩატარდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ წარმოებული კამპანია „არა ფემიციდს“, რომლის დროსაც საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართოს შეხვედრები სხვადასხვა ასაკისა და სფეროს წარმომადგენლებთან;



3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, აღნიშნული ინსტიტუტის ცნობიერების ამაღლებისა და უწყების თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიმართულებით;
4. პროკურორების დისკრეციული უფლებამოსილების და მათი მხრიდან ლიბერალური მიდგომის გამოყენების არეალის გაზრდის მიზნით, გადაინხედოს სისხლის სამართლის პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული იმ კატეგორიის დანაშაულების მიმართ, სადაც დამამძიმებელი გარემოება „მნიშვნელოვანი ზიანი“ გამოწვეულია ნივთის 150 ლარზე მეტი ღირებულებით. მიზანშეწონილი იქნება პროკურორებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ ასეთი დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუ მიყენებული ზიანი მკვეთრად არ აღემატება კანონით განსაზღვრულ 150 ლარს, იგი არ უნდა იქნეს შეფასებული როგორც ბრალდებულის ცალსახად შედარებით მკაცრად დასჯის განმაპირობებელ მაკვალიფიცირებელ გარემოებად;
5. პროკურატურის სისტემაში კვალიფიციური კადრების შერჩევის, მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფის, სტაჟირების პროცესზე ზედამხედველობისა და სტაჟიორთა შეფასების მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილი საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის ფუნქციები შეითავსოს და განახორციელოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედმა სათათბირო ორგანომ - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭომ;
6. საპროკურორო საბჭოს ფუნქციათა გაზრდისა და საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვა/გადაწყვეტა განხორციელდეს საპროკურორო საბჭოს აქტიური მონაწილეობით.

ანგარიშის შინაარსი, სხდომაზე დასმული კითხვები და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ ისინი ძირითადად არ პასუხობენ არც ანგარიშში მითითებულ გამოწვევებს და არც საპროკურორო საბჭოს წევრთა მიერ სხდომაზე გამოთქმულ წუხილებს (მაგალითად, სხდომაზე (ისევე როგორც წინა ორ წელს) პრობლემად დასახელდა სისხლის სამართლის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში სასამართლოსა და დაცვის მხარის ჩართვა, ასევე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების საჯაროობა).



## 9. საპროკურორო საბჭოს საქმიანობის საჯაროობა

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საპროკურორო საბჭოს აქვს თავისი ვებგვერდი. საპროკურორო საბჭოს დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება საპროკურორო საბჭოს მიერ მიღებული განკარგულებები, აგრეთვე საბჭოს სხდომის ოქმები. ამავე მუხლის თანახმად, საპროკურორო საბჭოს სამდივნოს ფუნქციას და მისი საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი). კვლევის პროცესში საპროკურორო საბჭოს პროკურორ წევრებთან ჩატარებული ინტერვიუებით გაირკვა, რომ საპროკურორო საბჭოს ვებგვერდის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრი (სამმართველო).

საპროკურორო საბჭოს ვებგვერდის<sup>50</sup> დათვალიერებით დგინდება, რომ იგი არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას საბჭოს საქმიანობის შესახებ. კერძოდ, აღნიშნულ ვებგვერდზე:

ა) არ არის ატვირთული არც ერთი განკარგულება, რომლებიც შეეხება საპროკურორო საბჭოს მუშაობის შედეგებს - საპროკურორო საბჭოს მიერ პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის საფუძველზე გაცემულ რეკომენდაციებს;

ბ) არ არის ატვირთული საპროკურორო საბჭოს (2020, 2021, 2022 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშების მოსმენის) სხდომის ოქმები, მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდზე ოქმებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე;

გ) არ არის მოცემული სრულყოფილი ინფორმაცია საპროკურორო საბჭოს წევრების შესახებ. კერძოდ, არ არის მითითებული მონაცემები საბჭოს ერთი წევრის - საქართველოს პარლამენტის წევრის იაგო ხვიჩიას შესახებ. შესაბამისად, ვებგვერდის თანახმად, საბჭოში ფიქსირდება მხოლოდ 14 წევრი;

დ) საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საპროკურორო საბჭოს არაპროკურორო წევრების არჩევის შესახებ (რომელი უწყების მიერ არიან ისინი არჩეულები, რა წესით მოხდა მათი არჩევა, ვის მიერ იქნენ ისინი წარდგენილნი საპროკურორო საბჭოს წევრებად და ა.შ.);

ე) ვებგვერდზე არ არის ატვირთული საპროკურორო საბჭოს სხდომების ვიდეოჩანაწერები (აღსანიშნავია, რომ საპროკურორო საბჭოს აქვს ასევე ოფიციალური Facebook გვერდი,<sup>51</sup> რომელიც აქტიურია 2019 წლის 19 დეკემბრიდან.

50 იხ. საპროკურორო საბჭოს ვებგვერდი, <http://pc.gov.ge/>

51 იხ. საპროკურორო საბჭოს Facebook გვერდი, [www.facebook.com/profile.php?id=100066835612709](http://www.facebook.com/profile.php?id=100066835612709)

მასზე განთავსებულია ინფორმაცია საპროკურორო საბჭოს სხდომების ჩატარების შესახებ და ატვირთულია სხდომების ვიდეოჩანაწერები).

საპროკურორო საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია საპროკურორო საბჭომ ვებგვერდის ფუნქციონირებას (რომლის საჭიროება გარანტირებულია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით) მიაპყროს სათანადო ყურადღება, უზრუნველყოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციისა (დეპარტამენტი) და პროგრამული უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრის (სამმართველო) დახმარებით საპროკურორო საბჭოს საქმიანობის შესახებ სრულყოფილი და განახლებული ინფორმაციის ატვირთვა და ამ მიზნით განახორციელოს ვებგვერდის პერიოდული მონიტორინგი.

საპროკურორო საბჭოს დებულება (რომელიც დამტკიცებულია საპროკურორო საბჭოს მიერ 2019 წლის 16 იანვარს და განთავსებულია საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე) ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს საპროკურორო საბჭოს სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დებულების თანახმად, საპროკურორო საბჭოს სხდომა დახურულია და საპროკურორო საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებაა საჭირო მისი საჯაროდ ჩასატარებლად. დებულებით გათვალისწინებულია საპროკურორო საბჭოს სხდომის აუდიოჩანაწერა (რომლის დაინტერესებული პირებისთვის გადაცემის წესები არ არის გაწერილი დებულებით და ბუნდოვანია მოთხოვნის შემთხვევაში იგი გადაეცემა თუ არა დაინტერესებულ პირებს), თუმცა, საბჭოს სხდომის ვიდეოჩანაწერა მხოლოდ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე შეზღუდულია ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დასწრება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უფლებამოსილი არიან განახორციელონ საპროკურორო საბჭოს სხდომის მხოლოდ საწყისი ეტაპის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩანაწერა და ტრანსლაცია, რომლის შემდეგ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის მითითებით, ისინი ვალდებული არიან დატოვონ საბჭოს სხდომა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნდოვანია რა იგულისხმება „საპროკურორო საბჭოს სხდომის საწყის ეტაპში“. თუ საწყის ეტაპში იგულისხმება სხდომის დაწყებამდე პერიოდი, გაურკვეველია რისი ტრანსლირება უნდა განახორციელოს მედიამ.

ასევე, დებულებით არ არის გაწერილი საპროკურორო საბჭოს გამართვისა და სხდომის დღის წესრიგის შესახებ საზოგადოების გონივრული ვადით ადრე ინფორმირების წესები. საპროკურორო საბჭოს ოფიციალურ Facebook გვერდზე საპროკურორო საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომის დღეს, რამდენიმე საათით ადრე ან წინა დღეს. აღნიშნული აფერხებს დაინტერესებული პირების მიერ საბჭოს სხდომისთვის მიმდინარე რეჟიმში თვალყურის დევნებას.

მიუხედავად იმისა, რომ საპროკურორო საბჭოს სხდომები, როგორც წესი, არის საჯარო და იგი გადაიცემა ე.წ. LIVE რეჟიმში, საპროკურორო საბჭოს დებულებით დაწესებული შეზღუდვები სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით არ არის თავსებადი საპროკურორო საბჭოს მიზანთან - უზრუნველყოს პროკურატურის გამჭვირვალობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროკურორო საბჭოს დებულებაში საჭიროა ცვლილებების განხორციელება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საპროკურორო საბჭოს სხდომების საჯაროობა, რომლის დახურვა შესაძლებელი უნდა იყოს გამონაკლის შემთხვევებში, საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე საპროკურორო საბჭოს მთლიან სხდომაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დასწრება, რომლის შეზღუდვა უნდა იყოს შესაძლებელი საპროკურორო საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. ამასთან, დებულებით უნდა დარეგულირდეს საპროკურორო საბჭოს სხდომის გამართვამდე გონივრული ვადით ადრე საზოგადოების ინფორმირების წესი, დაინტერესებული პირებისთვის საპროკურორო საბჭოს სხდომის აუდიო/ვიდეოჩანაწერის გადაცემის წესი.<sup>52</sup>

## 10. კვლევის უარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების მიერ აღინიშნა, რომ საპროკურორო საბჭოს საქმიანობა მათთვის სრულად დამაკმაყოფილებელია. კერძოდ, აღინიშნეს, რომ საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და ფორმირების საკანონმდებლო რეგულირება არ საჭიროებს არავითარ ცვლილებას. მათივე განმარტებით, არც ერთ პროკურორს შეშლია ხელი მათი სურვილის რეალიზებაში - გამხდარიყვნენ საპროკურორო საბჭოს წევრები. ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია პროკურორთა მხრიდან არ დაფიქსირებულა. მათი აზრით, ყოვლისმომცველია გენერალური პროკურორის მიერ საპროკურორო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშები. რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, ისინი სრულად პასუხობენ პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში მითითებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს.

52 ასეთი წესები გაწერილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებთან დაკავშირებით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის სხდომის აუდიოჩანაწერის ხელმისაწვდომობას. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება სხდომის გამართვის თარიღისა და სხდომის დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია. იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, [https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=47#part\\_56](https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=47#part_56)



პრობლემად დასახელდა საპროკურორო საბჭოს წევრებად პროკურორების/პროკურატურის გამომძიებლების არჩევის საკანონმდებლო წესი. აღინიშნა, რომ საპროკურორო საბჭოში ფორმალიზებულია ელიტურობა და იქ აირჩევიან პროკურორები, რომლებიც წარმოდგენელია იქ ხვდებოდნენ მენეჯმენტის ჩართულობის გარეშე კანონში არსებული ნომინირების წესის მხედველობაში მიღებით. ამიტომ, პროკურორებს დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეთ საკუთარი კანდიდატის საბჭოს წევრად დაყენების შესაძლებლობა. პრობლემად დასახელდა ასევე საპროკურორო საბჭოში პარლამენტის წევრთა არსებობა. კერძოდ, იმ პირობებში როცა პროკურატურა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული და პარლამენტის წევრებს აქვთ საპარლამენტო მექანიზმი ზედამხედველობა გაუწიონ პროკურატურის საქმიანობას, პარლამენტის წევრების საპროკურორო საბჭოში არსებობა ზედმეტია და ქმნის საპროკურორო საბჭოს საქმიანობის პოლიტიზების საფრთხეს. მათი აზრით, საქართველოს პარლამენტის როლი უნდა შემოიფარგლებოდეს საპროკურორო საბჭოს არაპროკურორი წევრების (ადვოკატების, სამოქალაქო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა) მაღალი კვორუმით არჩევით. გამოითქვა ასევე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭო იყოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც იქნება დაკომპლექტებული აქტიური წევრებით. ამასთან, საპროკურორო საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ გამოცდილება სისხლის სამართლის მიმართულებით ან/და პროფესიული შეხება უნდა ჰქონდეთ პროკურატურის საქმიანობასთან.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთათვის ასევე დასმული იქნა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რამდენად აქტიურები იყვნენ ისინი საპროკურორო საბჭოს წევრთა შერჩევის დროს, მათი კომპეტენციის ფარგლებში. მათი განმარტებით (რაც ასევე ჩანს, საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში), არც ერთ ორგანიზაციას და ოპოზიციურ პარტიას არ გამოუხატავს ინიციატივა ამ საკითხთან დაკავშირებით და არ წარუდგენია კანდიდატი საპროკურორო საბჭოს წევრობაზე საქართველოს პარლამენტისთვის.



## VI. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება

ევროპის საბჭო „სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში პროკურატურის როლის შესახებ“ რეკომენდაციაში განმარტავს, რომ პროკურატურისთვის უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალობა. პროკურატურამ პერიოდული ანგარიშგება საზოგადოებასთან უნდა განახორციელოს პირდაპირ მედიის მეშვეობით ან ანგარიშის გამოქვეყნებით ან არჩევითი ასამბლეის წინაშე მისი წარდგენის გზით.<sup>53</sup> ანალოგიურ მიდგომას ავითარებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).<sup>54</sup> „პროკურორთა დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ეთიკის შესახებ“ ევროპულ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრების თანახმად, დამოუკიდებლობის მიუხედავად, პროკურორები პასუხისმგებლები და ანგარიშვალდებულები არიან მათ ქმედებებზე საზოგადოებასთან და მედიასთან. პროკურორები მათ ქმედებებს უნდა ხსნიდნენ და საზოგადოებას პროაქტიულად აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მალალი საზოგადოებრივი ინტერესია.<sup>55</sup>

არაერთი ქვეყნის კანონმდებლობით და პრაქტიკით, პროკურატურის ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე და საზოგადოების ინფორმირება განსაზღვრულია პროკურატურის ანგარიშგების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად. არაერთი ქვეყნის პროკურატურის ანგარიშებს (რომლებიც განხილულია IV თავში) ხაზად გასდევს საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და პროკურატურის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნები (მაგალითად, ინგლისის და უელსის პროკურატურის ანგარიშში მითითებულია: „რაც უფრო მეტ ადამიანს ესმის რას, რატომ და როგორ ვაკეთებთ, მით უფრო მეტად დაგვაფასებენ და ექნებათ ჩვენი ნდობა. გასული წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა

53 იხ. *The role of public prosecution in the criminal justice system, recommendation Rec (2000)19*, 06.10.2000, <https://rm.coe.int/16804be55a>

54 იხ. კვლევა „პროკურორთა დამოუკიდებლობა აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და აზია-წყნარი ოკეანეთის ქვეყნებში“, პარაგრაფი 1.5., გვ. 55, <https://www.oecd.org/corruption/The-Independence-of-Prosecutors-in-Eastern-Europe-Central-Asia-and-Asia-Pacific.pdf>

55 იხ. CCPE Opinion No 3(2018) of the CCPE: „Independence, Accountability, and Ethics of Prosecutors“, 23.11.2018, [http://www.ejtn.eu/Documents/About%20EJTN/RoL%20Project/RoL\\_2019\\_02\\_Brussels/OPINION%2013%20CCPE\(2018\)2E.pdf](http://www.ejtn.eu/Documents/About%20EJTN/RoL%20Project/RoL_2019_02_Brussels/OPINION%2013%20CCPE(2018)2E.pdf)



საჯარო კომუნიკაციის უფრო თანმიმდევრული სტრატეგია და დავფარეთ უფრო და უფრო მეტი აუდიტორია.<sup>56</sup>).

საქართველოს პროკურატურა, საქართველოს პარლამენტისა და საპროკურორო საბჭოსთვის ანგარიშის წარდგენის პარალელურად (რაც, მათ შორის, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მიზანს ემსახურება) საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებით.

საქართველოს პროკურატურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, საქართველოს პროკურატურამ: 2020 წელს გაავრცელა 334 პრესრელიზი, ჩაატარა 14 ბრიფინგი და გააკეთა 27 ვიდეო კომენტარი/ვიდეოკლიპი; 2021 წელს გაავრცელა 365 პრესრელიზი, ჩაატარა 16 ბრიფინგი, გააკეთა 59 ვიდეო კომენტარი/ვიდეოკლიპი და გაავრცელა 42 ვიდეო მასალა; 2022 წელს გაავრცელა 490 პრესრელიზი, 86 ვიდეო კომენტარი, 91 ვიდეო მასალა და ჩაატარა 14 ბრიფინგი.

საზოგადოების ინფორმირებისთვის პროკურატურა აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდს და Facebook გვერდს. სწორედ მათი საშუალებით აქვეყნებს პროკურატურა ინფორმაციას მისი საქმიანობის შესახებ. კვლევის მიზნებისთვის დეტალურად იქნა შესწავლილი პროკურატურის ვებგვერდზე 2022 წელს განთავსებული ინფორმაცია (რომელთა რაოდენობა არის 500).

შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ ოფიციალურ ვებგვერდზე დიდი მოცულობით არის განთავსებული ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადებისა და პროკურატურის მიერ ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების შესახებ. პროკურატურის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა, რომლის ფარგლებშიც პროკურორებს უშუალო კომუნიკაცია აქვთ ხალხთან, მიჩნეული უნდა იქნეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის კარგ პრაქტიკად.

რაც შეეხება საპროკურორო საქმიანობას, პროკურატურის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულისთვის ადვოკატის ღონისძიების შეფარდების, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესახებ.

საზოგადოების ინფორმირება ძირითადად ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოების მიერ პროკურატურის წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი განაჩენების თაობაზე. უმეტეს შემთხვევაში ეს შეეხება სიცოცხლისა (ძირითადად მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა) და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება (მათ

56 იხ. ინგლისისა და უელსის პროკურატურის 2021-2022 წლების ანგარიში, [https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/CPS%20Annual%20Report%20and%20Accounts%202021-22\\_2.pdf](https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/CPS%20Annual%20Report%20and%20Accounts%202021-22_2.pdf)

შორის, ტარდება ბრიფინგები) განმარტებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (რომელთა მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი), თუმცა, ასევე ვრცელდება ინფორმაცია რიგით საქმეებზე.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის მიერ, როგორც წესი, არ ხდება ინფორმაციის გავრცელება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ ფაქტებზე გამოძიების დაწყების, გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, განმარტებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენებს, საქართველოს პროკურატურა ინფორმაციას აქვეყნებს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენების შესახებ. გამამართლებელი განაჩენების თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე განმარტებულია. ამასთან, ინფორმაციის გამოქვეყნებისას მითითებულია, რომ პროკურატურა არ ეთანხმება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს და გაასაჩივრებს ზემდგომ ინსტანციაში.

პროკურატურა პერიოდულად წარადგენს ანგარიშებს ცალკეული დანაშაულის თაობაზე სხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით (კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მიერ აღინიშნა, რომ მათთვის წარდგენილ ანგარიშებში ძირითადად საუბარია სტატისტიკურ მონაცემებზე), თუმცა, პროკურატურას არ აქვს დანერგილი მის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მედიისთვის ან/და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენის პრაქტიკა.

საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე ფაქტობრივად არ ხდება ისეთი ინფორმაციის განთავსება, რომელიც ეხება პროკურატურის მიერ გატარებულ სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგებს (რა გავლენა იქონია ქვეყნის კრიმინოგენულ მდგომარეობაზე პროკურატურის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ), ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების შეფასებას, პროკურატურის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს (საგამოძიებო უწყებებში, პენიტენციურ დაწესებულებაში და სხვა). ასევე, პროკურატურა საჯაროდ არ საუბრობს სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, საპროკურორო საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზებზე.

აღსანიშნავია ასევე თავად გენერალური პროკურორის როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში. გენერალური პროკურორის ქვეყნის შინგით თუ ქვეყნის გარეთ გამართული ოფიციალური შეხვედრების შესახებ პროკურატურის ვებგვერდზე და Facebook გვერდზე განთავსებულია მოცულობითი ინფორმაცია. იგი ასევე მონაწილეობას იღებს ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა: სახელმძღვანელოების პრეზენტაცია, საინფორმაციო კამპანიების გახსნის ან დახურვის ღონისძიებები, სტაჟიორების დანიშვნა, პროკურორთა და გამომძიებელთა დაჯილდოება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მისი მონაწილეობით ყველა შეხვედრა ტარდება

პროკურატურის შენობაში. იგი არ ესწრება საჯაროდ გამართულ ღონისძიებებს. იმის გათვალისწინებით, რომ გენერალური პროკურორი მოხსენებით არ წარმდგარა საქართველოს პარლამენტის წინაშე და ასევე, საპროკურორო საბჭოს სხდომას არ ესწრებიან ჟურნალისტები, მედიას არ აქვს მისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა. მედიაში გავრცელებული მისი ინტერვიუები ჩაწერილია ყოველთვის პროკურატურის შენობაში (დიდი ალბათობით პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის რესურსით და ჩანაწერი მიწოდებულია მედიისთვის). გენერალური პროკურორი არ აკეთებს განცხადებებს ქვეყნის კრიმინოგენულ მდგომარეობაზე, პროკურატურის მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, მაღალი საჯარო ინტერესის სისხლის სამართლის საქმეებზე.

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გამოხატულებაა პროკურატურის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პროკურატურის საქმიანობის ამსახველი ანგარიშებით დგინდება, რომ მაღალია პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მაჩვენებელი, თუმცა, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პროკურატურის მიერ მათ მოთხოვნაზე გაცემული პასუხის შინაარსი თითქმის არასოდეს პასუხობს სრულყოფილად მათ მიერ დასმულ შეკითხვებს.

## VII. რეკომენდაციები

პროკურატურის რეალური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, რისთვისაც შემუშავდა რეკომენდაციები.

### საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს პარლამენტმა პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში განიხილოს ყოველწლიურად საგაზაფხულო სესიაზე და უზრუნველყოს პარლამენტის კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე გენერალური პროკურორის მიერ ანგარიშის წარმოდგენა;
- საქართველოს პარლამენტის მიერ შეფასდეს ყოველწლიურად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა;
- საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდეს ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და მკაცრად დარეგულირდეს პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის საგაზაფხულო სესიაზე მოსმენის ვალდებულება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდეს ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლითაც გაფართოვდება პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშში წარმოდგენილი საკითხების ჩამონათვალი;
- საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს მუშაობა/დისკუსია საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ;
- საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება პროკურატურის საქმიანობისა და პროკურატურის საქმიანობას მიკუთვნებული საკითხების შესახებ;

- საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააქტიურონ ძალისხმევა პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის საქართველოს პარლამენტში განხილვისა და საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით.

**საპროკურორო საბჭოს:**

- საპროკურორო საბჭომ პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში განიხილოს ექვს თვეში ერთხელ;
- საპროკურორო საბჭომ, საქართველოს პარლამენტთან და სამოქალაქო სექტორთან კოორდინაციით, დაიწყოს მუშაობა/დისკუსია საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ;
- საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს საპროკურორო საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ საზოგადოების ინფორმირება გონივრული ვადით ადრე;
- საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს საპროკურორო საბჭოს დებულებამი ცვლილებების შეტანა საპროკურორო საბჭოს სხდომების გამჭვირვალობისა და ღიაობის ხელშეწყობის მიზნით, ანგარიშში მითითებული მიგნებების შესაბამისად;
- საბჭოს სხდომებისთვის მომზადების მიზნით, საპროკურორო საბჭომ დაწერგოს საპროკურორო საბჭოს სხდომის ჩატარებამდე საბჭოს წევრებს შორის კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმი;
- საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს საბჭოს სხდომაზე დასმული კითხვების პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში მითითებულ გამოწვევებთან შესაბამისობა;
- საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს რეკომენდაციებზე მსჯელობა გენერალური პროკურორისა და მისი მოადგილეების დასწრების გარეშე;
- საპროკურორო საბჭომ უზრუნველყოს გაცემული რეკომენდაციების პროკურატურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშში მითითებულ გამოწვევებთან შესაბამისობა.

**საქართველოს პროკურატურას:**

- საქართველოს პროკურატურამ შეიმუშაოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმიანობაზე სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია და უზრუნველყოს მისი საჯარო ხელმისაწვდომობა;
- საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს მის მიერ გაწეული საქმიანო-

ბის ანგარიშის სრულყოფა აღნიშნულ კვლევაში მითითებული მიგნებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით;

- საქართველოს პროკურატურამ, საქართველოს პარლამენტთან და სამოქალაქო სექტორთან კოორდინაციით, დაიწყო მუშაობა/დისკუსია საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და ფორმირების წესის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ;
- საქართველოს გენერალურმა პროკურორმა უზრუნველყოს საპროკურორო საბჭოს წევრებისთვის პროკურატურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის, საპროკურორო საბჭოს სხდომამდე, გონივრული ვადით აღრე მიწოდება;
- საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს საპროკურორო საბჭოს საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე;
- საქართველოს პროკურატურამ დანერგოს გაწეული საქმიანობის ანგარიშის სამოქალაქო სექტორისთვის წარდგენის პრაქტიკა;
- საქართველოს პროკურატურამ უზრუნველყოს წერილობით (მათ შორის, პარლამენტის წევრთა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა) მოთხოვნილ ინფორმაციაზე სრულყოფილი პასუხების გაცემა;
- საქართველოს პროკურატურამ საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების, გავრცელებული დანაშაულების, მათზე განხორციელებული სისხლის სამართლი პოლიტიკისა და მათი პრევენციის მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

### **არასამთავრობო სექტორს:**

- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გააქტიურონ მათი როლი საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით;
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გააქტიურონ მათი როლი საპროკურორო საბჭოს წევრთა არჩევის პროცესში.





## დანართი -

# საქართველოს პროკურატურისა და

# საპროკურორო საბჭოს

# პოზიცია კვლევის შესახებ

საქართველოს პროკურატურას, საპროკურორო საბჭოს და საქართველოს პარლამენტს „კანონის უზენაესობის ცენტრის“ მიერ გადაეგზავნათ კვლევა მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. საქართველოს პარლამენტმა მოსაზრებები არ წარმოადგინა. ხოლო, საქართველოს პროკურატურისა და საპროკურორო საბჭოს მიერ წარმოდგენილი იქნა მოსაზრებები.

საქართველოს პროკურატურის მოსაზრებების ნაწილი გაზიარებულია, ხოლო საპროკურორო საბჭოს მიერ მოწოდებული კომენტარები არ იქნა გათვალისწინებული. დანართის სახით მოცემულია მოსაზრებები, რომლებიც არ იქნა მხედველობაში მიღებული (მოსაზრებები შემოკლებულია, შინაარსის შენარჩუნებით).

### საქართველოს პროკურატურის მოსაზრებები:

- არასწორია მოსაზრება, რომ ანგარიში უნდა შეიცავდეს უფრო ყოვლისმომცველ ანალიტიკას. სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები ანგარიშებში ასახულია ციფრობრივ მაჩვენებლებში, რაც მოიცავს კრიმინოგენურ ვითარებაზე ზოგად პასუხსაც. პროკურატურის საქმიანობა მოიცავს არაერთ მიმართულებას, შესაბამისად, ანგარიშში ვერ იქნება წარმოდგენილი ყველა სფერო;
- სტატისტიკის სხვადასხვა წლიდან წარმოდგენა დაკავშირებულია საკანონმდებლო ან სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებებთან;

- კვლევით დასახელებული საკითხები (ინფორმაცია გამოძიების/სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტის, წერილობითი მითითებების, პროკურატურის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის, ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორისა და გამოძიებლის გადაწყვეტილების გაუქმების, დაკავებულ პირთა გათავისუფლების შესახებ) ვერ ჩაითვლება იმ მასშტაბის საკითხებად, რომლებიც პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის შესახებ მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შემზღუდავი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების შესახებ მონაცემების გარკვეული ნაწილი მუშავდება შიდა მოხმარებისთვის - პროკურორებისთვის და გამოძიებლებისთვის. ვინაიდან მათი დიდი ნაწილი ეხება პროცესუალურ პროცედურებს და არ არის დაკავშირებული კონკრეტული მიმართულებით პროგრესთან ან რეფორმებთან, ისინი არ უნდა იყოს ასახული ანგარიშში;
- დანაშაულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ასევე შეუძლებელია ყველა დანაშაულის ჩადენის ხერხის შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ეს ცდება ანგარიშის ფორმატსაც;
- საპროკურორო საბჭოს წევრის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის წევრთა რაოდენობა არის სწორი საერთაშორისო პრაქტიკა. პროკურატურის სამშტატო სისტემიდან გამომდინარე, 30 კაციანი საინიციატივო ჯგუფის არსებობა კანდიდატს აძლევს შესაძლებლობას წარმოადგენდეს არა ერთი, არამედ სხვადასხვა სტრუქტურის წევრთა შეთანხმებულ სურვილს, რაც უფრო მეტი ადამიანის ნდობით კონვერტირებულია. საინიციატივო ჯგუფის წევრთა მინიმალური ოდენობიდან გამომდინარე გამოირიცხულია ერთი სტრუქტურის მენეჯერის გავლენის არსებობა. ამავდროულად, პროკურორი დამოუკიდებელია და აქვს მენეჯერისგან დამოუკიდებლად საბჭოს წევრობაზე მისი კანდიდატის ინიცირების ბერკეტები;
- საპროკურორო საბჭოს წევრთა გამოცდილების შეზღუდვის არარსებობა იძლევა მეტ შესაძლებლობას საბჭო დაკომპლექტდეს მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე პირებით;
- პროკურატურის ანგარიშის მოსმენა პარლამენტში საჯაროა. ასევე საჯაროა ანგარიში. შესაბამისად, პროკურატურა არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სისტემას არ აქვს დანერგილი ანგარიშის მედიისთვის ან/და სამოქალაქო საზოგადოებისთვის წარდგენის პრაქტიკა.

### საპროკურორო საბჭოს მოსაზრებები:

- საპროკურორო საბჭო ღირსეულად ასრულებს მის ფუნქციებს. გენერალური პროკურორი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებას. თავის მხრივ, საბჭო აქტიურად ადევნებს თვალს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას;
- კვლევის ავტორების მიერ საპროკურორო საბჭოსთან მიმართებით დასმულია პრობლემური საკითხები, რომლებიც ატარებს ჰიპოთეტურ ხასიათს. დასახელებული „პრობლემები“ წარმოადგენს ავტორთა ვარაუდებს და მათზე განვითარებულ შემდგომ უსაფუძვლო კრიტიკულ მოსაზრებებს;
- კვლევის ავტორების მოსაზრება, რომ საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი უზღუდავს პროკურორს/გამომძიებელს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, არ შეესაბამება რეალობას (და არ არის გამყარებული რეალური ფაქტ(ებ)ით). ამის ნათელი მაგალითია საპროკურორო საბჭოს წევრთა არაერთი არჩევნები, რომელთა მიმდინარეობისას სურვილის მქონე ყველა კანდიდატს მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. ამასთან, საარჩევნო პროცესის სტანდარტების გათვალისწინებით, კანდიდატს თანამშრომელთა მინიმალური ოდენობა მაინც უნდა უჭერდეს მხარს, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს მისი და ზოგადად, საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაცია;
- სხდომებზე დასმული კითხვების რაოდენობა და შინაარსი მიუთითებს, რომ საბჭოს წევრები მონაწილეობენ განხილვაში და სვამენ რელევანტურ კითხვებს;
- საპროკურორო საბჭოს ყველა წევრისთვის გამოცდილების ერთიანი სტანდარტის დაწესებაზე კვლევის ავტორთა მოსაზრებები სუბიექტურია. გაუგებარია, რატომ მიაჩნიათ კვლევის ავტორებს საბჭოს წევრის მუშაობის განმსაზღვრელ ფაქტორად მხოლოდ სხდომებზე დასმული კითხვების რაოდენობა. ასევე, გაუგებარია რატომ მიუთითებს სხდომებზე კითხვის დაუსმელობა საბჭოს არაპროკურორო წევრების სათანადო გამოცდილების არქონაზე და საბჭოს საქმიანობაში მათ არაქმედითობაზე;
- მკვლევართათვის პანდემია არ არის საკმარისი მიზეზი საბჭოს სხდომების არ ჩატარებისთვის. ამასთან, მკვლევარები ვერ მიუთითებენ 6 თვეში ერთხელ სხდომის არ გამართვამ რა ზიანი გამოიწვია ანგარიშვალდებულების კუთხით, მაშინ როცა საბჭოს მოსმენილი აქვს ყველა პერიოდის საქმიანობის ანგარიში;
- კვლევაში საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვების შინაარსი, ისევე როგორც პროკურატურის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევები, შეფასებულია სუბიექტურად;

- საბჭოს წევრები არ არიან შეზღუდული მხოლოდ ერთი სხდომით - წარადგინონ რეკომენდაციები. მათ აქვთ უფლება საკუთარი მოსაზრებები წარადგინონ მეილის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომლითაც სამომავლოდ აქტიურად სარგებლობენ. შესაბამისად, აქცენტი იმ ფაქტზე, რომ საბჭოს წევრებს სჭირდებათ მეტი დრო ანგარიშის მოსმენისთვის მოსამზადებლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად, არასწორია. ასევე, გაუგებარია რეკომენდაციებზე მსჯელობის დროს გენერალური პროკურორის სხდომაზე დასწრების შეფასება, როგორც დამაბრკოლებელი გარემოება, მაშინ როცა სხდომა პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში მიმდინარეობს და საქართველოს გენერალურ პროკურორსაც შეუძლია მისი ნახვა;
- საპროკურორო საბჭოს დებულებაში არსებული ჩანაწერების პრობლემურობა სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ყველა სხდომა გადაიცემოდა პირდაპირი ტრანსლაციით, Facebook-ის საშუალებით, არალოგიკურია. მით უფრო, საბჭო განიხილავს ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს და სხდომაზე შესაძლოა გაქდერდეს საბჭოს წევრთა პერსონალური მონაცემები, რომელთა გახმაურება პირს შესაძლოა არ სურდეს.



